საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფაქტიურებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 22-23 თებერვალი. 2021 წ. №37-38 (9156-9157) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ათას ბოროტებას სჩადიან, რასაც უსირცხვილოდ სიმართლისთვის ბრძოლად გვასაღებენ!

ნერტილოვანი დარტყმები და ღარიბაშვილის ფაქტორი ⑦

ღღის ამფრაგზურიდან

ბაბუას შვილიშვილი სკოლიდან მიჰყავს, სკოლა ნაციონალების ოფისთან არის:

– რაო, ბაბუ, რა მოხდა დღეს სკოლაში?

– სკოლაში არაფერი, ბაბუ, სააკაშვილის საქათმიდან მელია გაპარულაო...

– მერე, მერე?

– ვინმეს რომ უკბინოს, ბაბუ?

– ნუ გეშინია, ჩემო ბიჭო, დაიჭერენ და ისევ გალიაში შეაგდებენ...

როდესაც ქვეყანას ამდენი მოღალატე ჰყავს... ⑥

ღორის ტილის ანდაზისა არ იყოს...

სანამ ღორის ტილის ანდაზის მომარჯვების მიზეზს ვიტყოდეთ, ჯერ კიდევ ერთი ძველი ქართული ანდაზა უნდა მოვიშველიოთ: **რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო...**

დიახაც ასეა, თანაც ზუსტად ასე, ზედმეტად გალიბერალებულმა „ოცნებამ“ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დაუთმო ზღვარგადასულად გათავხედებულ ნაციონალთ, უფრო სწორად, თვალი დაუხუჭა ბევრ აშკარა დანაშაულზე, რამაც კიდევ უფრო გააათავხედა ისედაც, როგორც უკვე ითქვა, ზღვარგადასულად გათავხედებულნი, რომელთაც 2024 წლის არჩევნებამდე მოთმინება არ ჰყოფნით, იციან რა, რომ ვერც მაშინ მიაღწევენ არჩევნების გზით საწადელს და, ვითომ დემოკრატები, ქართველი ხალხის სახელით (**ნეტავი როდის მისცა ქართველმა ხალხმა ამის ნება?!**) ათას ბოროტებას სჩადიან, რასაც უსირცხვილოდ სიმართლისთვის ბრძოლად გვასაღებენ.

ასე იცის ღორის ტილმაც, ფეხზე რომ დაისვამ, სანამ თავზე აგაცოცდებოდეს, იქვე, კოჭთან, უნდა მიასრისო, არადა, ტილს სხვანაირად პასუხს ვერ აგებინებ!.

„თაგვმა თხარა-თხარაო, კატა გამოთხარაო!“,

ანუ მართლა იბრძოდნენ დისიდენტი ჩარკვიანები კომუნისტების წინააღმდეგ?

სალომე ზურაბიშვილი: დიდ დროს ვკარგავთ გაუთავებელ დაპირისპირებასა და პოლარიზაციაში

„დიდი დრო დავკარგეთ და დღესაც ვკარგავთ გაუთავებელ დაპირისპირებასა და პოლარიზაციაში, წინსვლის გზა კი მხოლოდ ერთიანობასა და საერთო მიზნისკენ შეთანხმებული ნაბიჯებით სვლაშია“, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება პარლამენტში საქართველოს ეროვნული ჰიმნით გაიხსნა.

„შეგვიძლია ყველამ ერთად ვიამაყოთ კონსტიტუციის ბოლო რედაქციით. ეს ახალი რედაქცია ეფუძნება ადამიანის ღირსების, როგორც უზენაესი ღირებულების, იდეას. იგი აწესებს დახვეწილ, ახალი ტიპის ევროპულ საპარლამენტო მმართველობას, ძლიერი პარლამენტით, ძლიერი ბერკეტებით ოპოზიციის ხელში, ქმედითი მთავრობით, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებით და ზეპარტიული პრეზიდენტით. აწესებს მთელ რიგ ახალ უფლებებს – სოციალურს, საზოგადოებრივს, ეკოლოგიის თუ ჯანდაცვის დარგში, რითაც წამყვანი კონსტიტუციების რიგებში ეწერება. მე, პირადად, ამაყი ვარ, რომ ვეკუთვნი იმ ემიგრაციას, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციით ცოცხლობდა და ბოლომდე სწამდა მისი აღდგენისა. ამაყი ვარ და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგან პრეზიდენტის უმაღლესი ვალდებულება სწორედ კონსტიტუციის და მისი პრინციპების ერთგულებაა.

მჯერა, რომ ერთსულოვნებითა და მთავარი ფასეულობების გარშემო გაერთიანებით საქართველო გახდება ძლიერი ევროპული სახელმწიფო – სწორედ ისეთი ქვეყანა, რომორზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც მიიღეს საქართველოს პირველი კონსტიტუცია. ისეთი, როგორსაც ჩვენი კონსტიტუცია გვკარნახობს. ჩვენს კონსტიტუციას ჯერ კიდევ გარდამავალი სახე აქვს, რამეთუ ჩვენ გადასალახი გვაქვს უმთავრესი გამოწვევა – გაუცხოება ჩვენს განუყოფელ ნაწილთან, აფხაზ და ოს ხალხებთან, საქართველოს ხალხის გამთლიანება, ჩატეხილი ხიდის აღდგენა და ერთად კონსტიტუციის აღსრულება — ეს არის ჩვენი მიზანი. ამ მიზნისკენ გადადგმული ერთი მცირე, მაგრამ სიმბოლური ნაბიჯია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის თარგმნა და გამოცემა აფხაზურ ენაზე“...

ირაკლი ღარიბაშვილი: 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება მოიპოვა ისეთი ძალის დამარცხებით, რომელსაც ჰქონდა მიტაცებული მთელი ძალაუფლება და ფეხქვეშ გათელილი კონსტიტუცია

ზუსტად 100 წლის წინ, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო და ამით ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მტკიცე დასაყრდენი შეიქმნა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ილია მეორე: ქართული სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციის დაცვა თითოეული ადამიანის მოვალეობაა

„1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის დიდად მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი დამტკიცებიდან სულ რამდენიმე დღეში მოხდა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, საქართველოს კონსტიტუციამ მაინც შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის ფუნქცია, რაც საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა.



უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თვითმყოფადობისთვის ბრძოლა ეკლესიის წიაღშიც მწიფდებოდა; ამიტომაც იგი იმპერიული ძალებისთვის განსაკუთრებული დევნისა და შევიწროვების სამიზნეს წარმოადგენდა, თუმცა ამ პროცესში ჩვენი რწმენაც და თვითშეგნებაც უფრო ძლიერდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის მიღებამდე ერთი წლით ადრე, ანუ 1917 წელს, სწორედ საქართველოს ეკლესიამ შეძლო ავტოკეფალიის აღდგენა და სერიოზული ბიძგი მისცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმას.

საქართველოს ეკლესია როგორც XX საუკუნეში, ისე თავისი არსებობის მანძილზე, ყოველთვის მხარში ედგა ქვეყანას და მის სახელმწიფოებრიობას. ამიტომაც საქართველოს მთელმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა საქართველოს ისტორიაში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებას და საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის სუბიექტად მის გახდომას, რის საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფომ, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ, 2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს ეკლესიასთან დადო კონსტიტუციური შეთანხმება. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მსგავსი იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა ხელშეკრულება ევროპის არაერთ ქვეყანაშია გაფორმებული, თუმცა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველო ამ მხრივ არის გამორჩეული და ეს ჩვენი საკონსტიტუციო სივრცისათვის დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს ეკლესიამ გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოში სიკვდილით დასჯის სასჯელის გაუქმების საქმეში, რითაც ხელი შეუწყო სიცოცხლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან მიმართებაში ქრისტიანული აზროვნების დამკვიდრებას. ჩვენი კონსტიტუციაც, რომელიც ცივილიზებული სამყაროს სამართლებივ დოქტრინებს ეყრდნობა და იცავს თანასწორობის, შემწყნარებლობის, არჩევანის თავისუფლების, მოყვასის სიყვარულის ღირებულებებს, ამ თვალსაზრისით სათავეს, ძირითად, ქრისტიანობიდან იღებს. ქართული სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციის დაცვა თითოეული ადამიანის მოვალეობაა, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, ხოლო საკონსტიტუციო სუბიექტებს: საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს, სასამართლოს და, ასევე, ეკლესიას მართებთ ჩვენი მოქალაქეების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის ისეთივე ზრუნვა, როგორც ამას იჩენდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლას შეწირული ჩვენი ერის ღირსეული მამულიშვილები“.

აშშ-ის საელჩო: საქართველოს პირველ კონსტიტუციაში გამოხატული ღირებულებები ისეთივე მნიშვნელოვანია 2021 წელს, როგორც – 1921 წელს!

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში ქვეყნის პირველი კონსტიტუციის იუბილეს გვილოცავს.

„საქართველოს პირველი კონსტიტუცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საუკუნოვანი მტკიცე ძალისხმევისა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოებაში გაწევრიანებისკენ. თქვენ, მართლაც, უნდა იამაყოთ ამ კონსტიტუციით, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული იყო იმ დროისთვის, როდესაც ის იქმნებოდა. იგი აღიარებდა სახელმწიფოს თავისუფლებასა და განუყოფლობას, იცავდა ძირითად სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს და ადგენდა ყველა ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე. იგი ითვალისწინებდა გენდერულ თანასწორობას, იცავდა უმცირესობებს, უზრუნველყოფდა რწმენის, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას.

დემოკრატიული პროცესი ხშირად გადის გამოცდას, თუმცა, ჩვენი, ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო პერიოდის გამოწვევები ადასტურებს იმას, თუ რაოდენ სიცოცხლისუნარიანია დემოკრატია და რამდენად ერთგული უნდა დავრჩეთ უფრო სრულყოფილი სახელმწიფოს შექმნისა, როგორც ეს ჩვენს კონსტიტუციაშია აღწერილი. ახლა, ვიდრე ოდესმე, მნიშვნელოვანია, რომ ქართველი ხალხი გაერთიანდეს თქვენს პირველ კონსტიტუციაში განმტკიცებული მთავარი ღირებულებების ირგვლივ. მოქალაქეებმა, არჩეულმა მოხელეებმა და პარტიის ლიდერებმა ნებისმიერ მხარეს, უნდა გადადგან ნაბიჯები არსებული პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად, მშვიდობიანად იმუშაონ დემოკრატიულ ინსტიტუტებში და შეინარჩუნონ საქართველო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ზუსტად ისე, როგორც 1921 წელს, არსებობენ ისინი, ვისაც სურთ საქართველო ამ ძალისხმევის წინაშე დამარცხებული იხილონ, ვინც საქართველოს დემოკრატიის წარმატებას საფრთხედ აღიქვამს. ქართველმა ხალხმა ძალიან დიდი შრომა გასწია ქვეყანაში პირველი დემოკრატიის დასამყარებლად, ბევრი იბრძოლა მის დასაბრუნებლად 30 წლის წინ და უამრავი სისხლი, ოფლი და ცრემლი დაღვარა მის აღსადგენად. დემოკრატიისთვის შრომა რთულია და ის არასოდეს მთავრდება, სწორედ ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს ქართველი ხალხის გვერდით დგომასა და მხარდაჭერას ამ მნიშვნელოვან ძალისხმევაში ერთად წინსვლისთვის. თქვენ უნდა იამაყოთ ამ დღით და ყველაფრით, რაც ქართველმა ხალხმა შექმნა ბოლო 100 წლის განმავლობაში. მოგიწოდებთ, გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა და განაახლოთ ერთგულება უფრო სრულყოფილი დემოკრატიის მშენებლობის მიმართ, თქვენი თითოეული თანამოქალაქის სახელით. გილოცავთ, კიდევ ერთხელ, ამ მნიშვნელოვან იუბილეს“.

ევროკავშირის წარმომადგენლობა: 100 წლის იუბილეს ერთად ვზეიმობთ!

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების მისიების ხელმძღვანელებთან კოორდინაციით, საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისალოც განცხადებას აქვეყნებს.

„1921 წლის კონსტიტუცია იყო მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც სათუთად ინახავდა საამაყო სამართლებრივ ტრადიციას პროგრესული და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ. უპირველეს ყოვლისა, იგი ქართველი ხალხის ძლიერ დემოკრატიულ მისწრაფებებს ასახავდა. საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ ქვეყანა ევროპულ ღირებულებათა ფართო ოჯახში მტკიცედ განათავსა, იგი ყველაზე მაღლა აყენებდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, ადამიანის უფლებების პატივისცემას, კანონის უზენაესობისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, რაც ასევე შეკრების თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებასა და ბეჭდურ მედიას მოიცავდა. მრავალი თვალსაზრისით, ეს კონსტიტუცია თავის დროს უსწრებდა. მან დანერგა არჩევნების პროპორციული სისტემის პირობებში საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომლითაც ქალები და მამაკაცები თანაბრად სარგებლობდნენ. ამ კონსტიტუციამ გააუქმა სიკვდილით დასჯა და ითვალისწინებდა პოლიტიკური თავშესაფრის უზრუნველყოფას და ეროვნული უმცირესობების დაცვას. მან სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და მართლმსაჯულების აღსრულების მკაცრი ჩარჩოებიც კი განამტკიცა. პროგრესული დემოკრატიისადმი ამ ერთგულებამ თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ორიენტირები შექმნა – ორიენტირები, რომლებიც დღემდე მეტად აქტუალურია. საქართველოს ამბიცია, ააშენოს წარმატებული, ინკლუზიური, პლურალისტული დემოკრატია ამ ისტორიულ კონსტიტუციაში არის დამკვიდრებული. როდესაც ამ დღეს საზეიმოდ ერთად აღვნიშნავთ, ვიხსენებთ ჩვენს ღრმა პარტნიორობას და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ევროკავშირის მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს საქართველოს სვლას ძლიერი დემოკრატიისკენ“, – ნათქვამია განცხადებაში.

გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმი

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს კონსტიტუციის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმის“ გახსნას დაესწრო.

საქართველოს პარლამენტის სასახლეში წითელი ლენტი საზეიმოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და ექვთიმე თაყაიშვილის შთამომავალმა, 10 წლის ექვთიმე თაყაიშვილმა გაჭრეს.

ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი და კრების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის საპარლამენტო საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული როგორც 1919-21 წლებში, ასევე საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ემიგრაციაში ყოფნისას. მუზეუმი წარმოდგენილია ცენტრალური, „დიდების დარბაზით“ და ეპოქების ამსახველი შესაბამისი ოთხი სივრცით.

„ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმის“ დათვალიერებით მნახველს 1919 წლიდან ქართული პარლამენტარიზმის დღემდე განვლილ გზაზე სრული წარმოდგენა შეექმნება. მუზეუმი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის“.

თავისუფლების საპარლამენტო ორდენი – ირაკლი კობახიძეს!

პარლამენტის წევრს და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ირაკლი კობახიძეს საკონსტიტუციო რეფორმაში შეტანილი წვლილის და მისი ავტორობისთვის გადავცემ თავისუფლების საპარლამენტო ორდენს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ირაკლი კობახიძის „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით“ დაჯილდოების ცერემონიალზე განაცხადა.

არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის ბიუროს წევრებს ირაკლი კობახიძის დაჯილდოებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა. პარლამენტის თავმჯდომარემ შეკრებილებს საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილე მიულოცა. მისი თქმით, საქართველოს აქვს დღის წესრიგი, რომელიც ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას გულისხმობს.

„დღეს განსაკუთრებული დღეა, 100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს პირველი კონსტიტუცია და დღეს არის ის თარიღი, როდესაც ჩვენ შეგვიძლია, თვალი გადავავლოთ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების განვლილ 100 წელიწადს და ასევე, დავფიქრდეთ ჩვენს მომავალზე“.

დამსწრეებს სიტყვით მიმართა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარესა და ბიუროს წევრებს ორდენით დაჯილდოებისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ევროატლანტიკური ოჯახის სრულუფლებიან წევრობასთან აახლოებს. „თავისუფლების საპარლამენტო ორდენთან ერთად“, ირაკლი კობახიძეს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ფულადი ჯილდოც გადაეცა, რომელსაც უმრავლესობის ლიდერი ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვებს გადაურიცხავს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: 2012 ᲬᲔᲚᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲗᲘᲚᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

მისივე თქმით, პირველი კონსტიტუცია საკუთარი აღიარებით თავისი დროის გამორჩეულად პროგრესული ტექსტია, ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით.

„იგი ამკვიდრებს თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის იმ იდეალებს, რომლებიც მოგვიანებით მთელ განვითარებულ სამყაროში დაედო საფუძვლად სახელმწიფოთა სამართლებრივ მოწყობას. ამავდროულად, იგი, როგორც იურიდიული დოკუმენტი, ჰარმონიულად ათანხმებს ჩვენს ეროვნულ ფასეულობებსა და საწყისებს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებასთან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონსტიტუციაში მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გაცხადდა ხალხის მტკიცე ნება, განპირობებული მთელი ჩვენი წარსულით და ნაკარნახები ჩვენი მომავალი თაობის ინტერესებით. უმდიდრეს ისტორიულ და კულტურულ ნიადაგზე აეშენებინათ დემოკრატული, ევროპული სახელმწიფო, თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა ერთობა. ქვეყანა, რომელიც საკუთარ უნიკალურ გზას გადის და განვითარების ფართო ასპარეზს ქმნის მისი თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან კონსტიტუცია, რომელიც საამაყო უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის იმდენი ტრანსფორმაცია განიცადა, რომ გადაიქცა ტექსტად, რომელმაც დაკარგა ეროვნული შეთანხმების მნიშვნელობა.

2012 წლის პირველ ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება მოიპოვა სწორედ ისეთი ძალის დამარცხებით, რომელსაც, პირდაპირ უნდა ითქვას, უზურპირებული ჰქონდა ხელისუფლება, მიტაცებული, როგორც მთელი ძალაუფლება, ასევე კონტროლიც ყველა სახელისუფლო თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე!

უნდა ითქვას პირდაპირ, მეგობრებო, რომ ამ ძალას ფეხქვეშ გათელილი ჰქონდა კონსტიტუცია. 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია ერთი ადამიანის ნებასურვილს დაექვემდებარა და მას მოერგო. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ ქვეყნის მმართველობის ფორმის გადაყვანა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელიდან საპარლამენტო მმართველობის მოდელზე მხოლოდ იმ ერთადერთი მიზნით მოხდა, რომ უვადოდ გაგრძელებულიყო მოძალადე ხელისუფლების მმართველობა.

სწორედ ამგვარად იყო დაჭრილი და დაჩეხილი ის დოკუმენტი, როდესაც ქართველი ხალხის ნებით ანტიკონსტიტუციური მმართველობა შეიცვალა. 2016 წლიდან, როდესაც მორიგ საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა, ჩვენ დავიწყეთ მმართველობის მოდელთან კონსტიტუციის შესაბამისობაში მოყვანა. ამ უდიდეს საქმეში წამყვანი როლი შეასრულა ბატონმა ირაკლი კობახიძემ, რომელმაც გამართა და დასამტკიცებლად წარადგინა ეს დოკუმენტი. დოკუმენტი, რომელმაც მიიღო ისეთივე თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი ფორმა, როგორიც იყო მისი ასი წლის წინამორბედი. ამიტომ მინდა, მივულოცოო ბატონ ირაკლის ის დამსახურებული ჯილდო, რაც დღეს მან მიიღო საქართველოს პარლამენტის სახელით.

ეს მართლაც ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერა. ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, ამ სიტყვებით იწყება მსოფლიოში პირველი კონსტიტუცია, რომელსაც ჯორჯ ვაშინგტონი სასწაულს უწოდებდა, რომელმაც ეროვნული კონსენსუსი უმაღლესი იურიდიული ძალის დოკუმენტად ჩამოაყალიბა.

ამ კონსტიტუციით ჩვენ, ქართველი ხალხი, შევთანხმდით იმაზე, რომ საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახშია და ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი მტკიცე და შეუქცევადი მიზანია.

ჩვენ, ქართველი ხალხი შევთანხმდით იმაზე, რომ აღარასოდეს მოხდება სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება მოქალაქეების უფლებების დაკნინების ხარჯზე. ჩვენ, ქართველი ხალხი, შევთანხმდით, რომ ქვეყნის ძირითად კანონს ვეღარასოდეს მოირგებს საკუთარ თავზე რომელიმე პოლიტიკური ძალა თუ მმართველი. ამ კონსტიტუციით ჩვენ, ქართველი ხალხი, შევთანხმდით ყველა იმ კულტურულ მარკერზე, იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას და თვითმყოფადობას მრავალფეროვან სამყაროში და რომლებიც თავისუფლების და დემოკრატიის იდეებს, ოჯახს და ეკლესიას ეფუძნება...

* * *

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ დღეს, ამ მოვლენებიდან 100 წლისთავზე, ისევ ვხედავთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის მტრებს, თანამედროვე ნეობოლშევიკებს, რომლებსაც სამიზნედ სწორედ კანონი და კონსტიტუცია გაუხდიათ, გვახსენდება, რომ ეს უკვე ნანახი გვაქვს...

რეპრესიები იხილეს 100 წლის წინ და 10 წლის წინაც.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა პატრიოტისთვის ძალიან ამაღელვებელი თარიღია, და დევანდელი დღის ისტორიული მნიშვნელობა ამის საფუძველს იძლევა, მაინც არ მინდა, ვიყო პათეტიკური, მაგრამ შეუძლებელია, ვილაპარაკოთ 21 თებერვლის დღესასწაულზე და არ გავიხსენოთ 25 თებერვლის კატასტროფა.

100 წლის წინ კონსტიტუციის მიღება პრაქტიკულად მოხდა ქვემეხების ქვეშ, იმ შტურმის ფონზე, რომელიც ისევ ქართველებისვე წინამძღოლობით შემოჭრილმა უცხო ძალამ, წითელმა არმიამ განახორციელა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე.

ეს შემოჭრა დასრულდა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებით, ოკუპაციით და საბოლოოდ ფაქტობრივი ანექსიით. თებერვლის ეს სუსხიანი დღეები ჩვენ გვახსენებს საუკუნისწინანდელ წარსულს, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის შიდა მტრები, ჩვენი დიდი ეროვნული იდეის მოღალატეები, ქართველი ბოლშევიკები შემოუძღვნენ საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიას და გაანადგურეს ყველაფერი ის, რაც გარანტირებული იყო რამდენიმე დღით ადარე მიღებული პირველი ქართული კონსტიტუციით.

როდესაც დღეს, ამ მოვლენებიდან 100 წლისთავზე, ისევ ვხედავთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის მტრებს, თანამედროვე ნეობოლშევიკებს, რომლებსაც სამიზნედ სწორედ კანონი და კონსტიტუცია გაუხდიათ, გვახსენდება, რომ ეს უკვე ნანახი გვაქვს. უკვე ნანახი გვაქვს ჩვენ რეპრესიები 100 წლის წინ და 10 წლის წინაც. ჩვენ გვაქვს ნანახი ეკლესიების ნგრევა მაშინაც და არც თუ ისე შორეულ წარსულში. ორგზის გვაქვს ნანახი პროგრესის სახელით ძეგლების აფეთქებაც, ჩვენი მოქალაქეების კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია და თავისუფალი აზრის ცენზურაც. უკვე ორგზის ნანახი გვაქვს სერგო ორჯონიკიძეები, უკვე ორჯერ გავიარეთ ქართული ტერიტორიების გასხვისება, ეს დღესაც გრძელდება...

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ:

2-3 ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ საათის მხრივ, ცვლილებები განიხილება და ეტაპობრივად მოიხსნება სხვა შეზღუდვებიც.

„იცით, ახლა მთავრობაში ცვლილებებია. ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება ახალი ხელმძღვანელობის პოზიცია, რამდენად დააჩქარებს თუ პირიქით, უფრო ფრთხილად მოიქცევა. მაგრამ ჩვენ არ გავჩერებულვართ. რაც შეზღუდვების მოხსნა დაიწყო საქართველომ, იმის შემდეგ ყოველ კვირაში ან ყოველ ორ კვირაში ახალი შეზღუდვის მოხსნა ხდება. ვფიქრობ, ეს გაგრძელდება. მთავარია, რომ მოსახლეობამ არ შეუწყოს ხელი იმას, რომ ეს ძალიან დიდი მიღწევა, რომ 3%-ს ქვევით ჩამოვიდა დადებითობის მაჩვენებელი, არ დავკარგოთ, თორემ შეზღუდვების მოხსნა დაწყებულია და სადღაც ორსამ კვირაში დამთავრდება, სავარაუდოდ ყველა შეზღუდვა მოიხსნება. მთავარია, რომ უკან დაბრუნება არ მოგვიწიოს, ხელახლა შეზღუდვების დაწესება არ მოგვიხდეს, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყანას მოუწია. არ უნდა მივეცეთ თვითდამშვიდებას, რაც ერთხელ მოგვვიდა ზაფხულში. ის, რომ ახლა მდგომარეობა სტაბილურია, მე ვიტყოდი პირდაპირ — კარგია, ეს არ უნდა იყოს თვითდამშვიდების საგანი და ის, რაც მოსახლეობამ ასე თუ ისე გაითავისა მაღალი პასუხისმგებლობა და პრევენციული ზომების დაცვის აუცილებლობა, მხედველობაში მაქვს პირბადის ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა და ხელების ჰიგიენა. აი, ამაზე ერთი წუთითაც არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება...

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲣᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲐᲓ ვაქცინების სერიოზული დეფიციტია. **„ამიტომ, ამ ეტაპზე, ორი ტიპის ვაქცინაზეა საუბარი — ეს არის „ფაიზერის“, რომელიც არის ლიმიტირებული და რომელზეც შეთანხმება და დასტურია, რომ აძლევენ საქართველოს დაახლოებით 29 250 დოზას; მეორე ძირითადი მიმართულებაა „ასტრაზენეკა“. მუშაობა მიმდინარეობს „კოვაქს“ პლატფორმიდან „ასტრაზენეკას“ ვაქცინის მიღებასთან დაკავშირებით. აქაც დასტურია, რომ მარტის შუა რიცხვებში სადღაც 180 000-დან 300 000 დოზამდე გადმოგვეცემა პირველ ეტაპზე. „კოვაქსის“ მეშვეობით ჩვენ გვაქვს შეკვეთილი წლის განმავლობაში მისაღები 1 400 000 დოზა, ახლა მიმდინარეობს ბიუროკრატიული მექანიზმების დაძლევა, რომლის დამთავრების შემდეგ ეს პირველი პარტია დაიძვრება. ასევე, პარალელურად მიმდინარეობს „ასტრაზენეკას“ ვაქცინის პირდაპირი შესყიდვა.**

მოგეხსენებათ, „ასტრაზენეკას“ რამდენიმე დიდი მწარმოებლისთვის აქვს ლიცენზია მიცემული. ეს არის სამხრეთ კორეის ერთ-ერთი დიდი კომპანია, ასევე ყველაზე დიდი მწარმოებელი ვაქცინის სერომის ინსტიტუტი და მათთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. უკვე კონტრაქტი ფორმდება „ასტრაზენეკას“ ლიცენზირებული ვაქცინის მიღებასთან დაკავშირებით. ეს სამი, რაც დაგისახელეთ, კონკრეტული გადაწყვეტილი მიღების გზებია, რომელსაც ქვეყანა დიდი ალბათობით მიიღებს. შესაძლებელია, იყოს ეს თებერვლის ბოლო დღეები, მარტის 10 რიცხვამდე. ყოველ შემთხვევაში, დიდი იმედი მაქვს, რომ სადღაც მარტის პირველ ორ კვირაში ვაქცინაციას ქვეყანა დაიწყებს.

* * *

ᲒᲔᲒᲛᲐ გვაქვს, მაისის ბოლომდე ორჯერადად ავცრათ 200 000-მდე ადამიანი, ხოლო ივნისიდან მასობრივ იმუნიზაციაზე გადავალთ, — განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ.

ჩვენი სამიზნე წლის ბოლოსთვის არის მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის აცრა. ეს არის 1 700 000-მდე ადამიანის აცრა. დიახ, ამბიციური გეგმაა, მაგრამ ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ერთად ყველამ — ექიმებმა, მოსახლეობამ, საზოგადოებამ, ჟურნალისტებმა მხარი უნდა დაუჭიროთ ამ პროცესს, რომ ამას მივაღწიოთ. მაშინ ქვეყანაში ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი იმუნიტეტი, რომელიც შეაჩერებს პანდემიას!

„ოცნებამ“ ირაკლი ღარიბაშვილი თავისი პოპულარობის გამო დაიბრუნა პრემიერად...

საქართველოში პოლიტიკური მოვლენები რეაქტიული სისწრაფით ვითარდება – შესაძლოა, დილით პრემიერ-მინისტრს ნაძირალა ნიკა მელიას ხუშტურების გამო თანამდებობა „აღარ მოუნდეს“ და ახალს სულ რაღაც რამდენიმე საათში წარადგენენ. ასე მოხდა 18 თებერვალსაც, როდესაც გიორგი გახარია გადადგა და უკვე მეორედ პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდა.

...შეახსენებენ თუ არა ირაკლი ღარიბაშვილს „კახურ კლანს“ და როგორ შეიძლება წარიმართოს მისი პრემიერობა?! ამ კითხვებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე უპასუხებს.

– ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად დაბრუნება თქვენთვის რამდენად მოსალოდნელი იყო?

– სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო. ოღონდ ერთადერთი მიზეზით – საერთოდ, თავად ადამიანები ერიდებიან ხოლმე იმ ადგილას დაბრუნებას, საიდანაც წავიდნენ. სხვა მხრივ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მოულოდნელი არ იყო.

– ყველას კარგად გვახსოვს მისი წასვლის მომენტი და განცხადება. როგორ ფიქრობთ, ის ახლა ბიძინა ივანიშვილმა დააბრუნა უკან?

– ღარიბაშვილისა და ივანიშვილის ურთიერთობა ცნობილია, მაგრამ ამავე დროს მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და „ოცნებას“, რომელსაც ნამდვილად არ უდგას კარგი პერიოდი, გასაკვირი არაა, რომ ჰქონოდა პოპულარული პიროვნების გვერდით დაყენების სურვილი, მით უმეტეს, რომ პოპულარული პერსონა გვერდით აღარა ჰყავს, ანუ გიორგი გახარია. ამ დეფიციტის კომპენსირებისთვის ღარიბაშვილი ცუდი ფიგურა არ არის.

– ანუ, თქვენ თვლით, რომ ამ ეტაპზე მმართველმა გუნდმა პრემიერი პოპულარობის ნიშნით შეარჩია და ასეთი სწრაფი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო?

- პოლიტიკაში ძალიან ხშირად იღებენ პოპულარულობის მიხედვით გადაწყვეტილებას. პოლიტიკა დიდწილად პოპულარობის ნიშნით ვითარდება. ამდენად, პოპულარობის ნიშნით რომ მიეღოთ გადაწყვეტილება, გასაკვირი არაა.

– ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პერიოდს ლაქად გასდევდა, ყოველ შემთხვევაში, ინფორმაციულად მაინც, „კახური კლანის“ ფაქტორი. მეორედ დაბრუნებული პრემიერ-მინისტრი რამდენად შეძლებს თავიდან აიცილოს ამ არასასიამოვნო პიარკამპანიის შემოტევა?

– ვნახოთ, საერთოდ, ადამიანი ხელს რაზედაც დაიწვავს, იმას აღარ ეკარება, რადგან მან ხელი ერთხელ დაიწვა, სავარაუდოდ, ის ამ შეცდომას აღარ დაუშვებს.

– ღარიბაშვილის პირველი პრემიერობის დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მასზე გავლენა ჰქონდა საკუთარ სიმამრს, რომელიც რჩევებს აძლევდა...

– მიჭირს თქმა. რჩევის გათვალისწინება ისეთი საქმეა, რომ ყველას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აქვს – ვის რჩევებს გაითვალისწინებს და ვისას არა. ჩვენ არაერთი ხელისუფლება გვახსოვს, იგივე საა-კაშვილი, ვის რჩევებს ითვალისწინებდა?! სამწუხაროდ, ძალიან ბევჯითად ითვალისწინებდა რუსეთის ინტერესებს. ეს ვისი რჩევით ხდებოდა, უცნობია, შეიძლება ეს ყოფილიყო მისი ბიძა, რომელიც ამ დროს ოფიციალურად თანამდებობის პირი არ იყო. ასე რომ, პოლიტიკოსებთან ასეთი მრჩევლების გამოჩენა იშვიათი რამ არ არის. პოლიტიკოსს ამ მხრივ ვერც უსაყვედურებ, ამ რჩევას რატომ ითვალისწინებ და იმას არაო. წაგებით თუ წააგებს ამა თუ იმ რჩევის გამო, თავად წააგებს. ამდენად, იგი თავად იქნება პასუხისმგებელი.

– ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილი მინისტრთა კაბინეტს შეცვლის?

– გარკვეული ლოგიკით არც ის მეგონა, რომ ღარიბაშვილი დაბრუნდებოდა. თქვენს კითხვაზე პასუხი ლოგიკით შემიძლია გავცე, რომ კრიზისულ პირობებში ცვლილებები სასურველი არ არის. კრიზისული პერიოდიდან გამოსულები არ ვართ, გინდა ეკონომიკურად და გინდა პანდემიის მხრივ. ამ დროს პანდემიის საკითხში მთელი მინისტრთა კაბინეტია ჩართული, რომ შეცვალო, ახალმა მინისტრებმა სწავლა უნდა დაიწყონ. სწავლას დაახლოებით ნახევარი წელი უნდა და ამის დრო ახლა არ არის. ამიტომ, კაბინეტის ცვლილება მოხდება თუ არა, არ ვიცი. მაგალითად, ერთ-ერთ ქვეყანაში პანდემიის პერიოდში ჯანდაცვის მინისტრი შეცვალეს და უკან დაბრუნება მოუწიათ იმიტომ, რომ ახალმა მინისტრმა ვერ მოასწრო გათვითცნობიერება, თუ რა ხდებოდა მის სისტემაში. ასე რომ, ეს პრობლემა ახალ მინისტრებთან ყოველთვის არის.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

„გიორგი გახარიას გამო „ქართული ოცნება“ უცბად აღმოჩნდა მოწყვლად სიტუაციაში და ოპოზიციამ, რომელიც ყველანაირად ჩიხში იყო შესული საერთაშორისო თუ ადგილობრივი თვალსაზრისით, უცბად გამხნევდა, ვხედავთ უკვე, რა განცხადებებსაც აკეთებენ“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი გაალ ანჯაფარიძე.

– ღარიბაშვილი თუ გახარია – რომელი უფრო ანგარიშგასაწევი ფიგურაა იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო პერიოდში „ნაცმოძრაობა“ კვლავაც მოუთოკავი აღმოჩნდა, ისინი მელიას დაცვის საბაბით გამაგრდნენ „ნაცმოძრაობის“ ოფისში და ახალგაზრდები ფარად აიფარეს. ღარიბაშვილის ხელმეორედ გამოჩენა პრემიერის პოსტზე „ნაცების“ ფსიქოლოგიური გარდატეხვისთვისაა გამიზნული?

– გახსოვთ გახარიას ნათქვამი პარლამენტში გამოსვლისას „ნაცმოძრაობის“ მიმართ – „მე თქვენ დაგამთავრებთ“, – ფაქტია, მან ვერ დაამთავრა „ნაცმოძრაობა“. თავის დროზე ირაკლი ღარიბაშვილი იმიტომ გადაყენეს პრემიერ-მინისტრობის თანამდებობიდან, რომ ის ზედმეტად ხისტი იყო „ნაცმოძრაობის“ მიმართ და „ქართული ოცნების“ კოალიციაში მყოფ ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას ეს არ მოეწონა, დააბეზღეს დასავლეთთან და ბიძინა ივანიშვილი აიძულეს, ის გადაეყენებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდნენ კოალიციის დატოვებით. ირაკლი ღარიბაშვილი არის ის ფიგურა, რომელიც ყველანაირად შემოწმებული, გადამოწმებულია „ქართული ოცნების“, ბიძინა ივანიშვილის ერთგულების კუთხით, მისგან ასეთი სიურპრიზები არ არის მოსალოდნელი, როგორც გახარიამ შესთავაზა „ოცნებას“. თუმცა იყო თუ არა მისი გადადგომა სიურპრიზი, ჩვენ არ ვიცით, რადგან მისი გადადგომის რეალურ მიზეზებს, ალბათ, მოგვიანებით გავიგებთ. თქვენს კითხვაზე, გახარია თუ ღარიბაშვილი, ალბათ, უფრო ღარიბაშვილი.

– თქვენ გაიხსენეთ გიორგი გახარიას ნათქვამი „ნაცმოძრაობის“ მიმართ, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენ გვახსოვს გახარიას მეორე ნათქვამიც – „პარლამენტში ნაცმოძრაობის გარეშე მოსაწყენია“... რა გარანტიაა, რომ ის ძალები, რომლებმაც ერთხელ უკვე დააბეზღეს დასავლეთთან ირაკლი ღარიბაშვილი, ახლაც იმავეს არ გააკეთებენ და ისევ არ მოუწევს „ოცნებას“ მისი ჩამოშორება პრემიერობიდან?

– გამორიცხული არაფერია, ჩვენ ვართ არშემდგარი სახელმწიფო, მთლიანად დამოკიდებული ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებზე, მათ დახმარებებზე, კეთილ ნებაზე. თითქოს გვაქვს საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა, მაგრამ რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ, ჩვენი სუვერენიტეტი ძალზე შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ჩვენზე ზემოქმედება მარტივია.

– რით ახსნით, რომ გიორგი გახარია არა მხოლოდ პრემიერობიდან გადადგა, არამედ დატოვა გუნდიც, პარტიაც.

– გასაგებია, თუ პრემიერობიდან მიდიხარ, უნდა დატოვო პარტიაც. ღარიბაშვილი რომ გადადგა პრემიერობიდან, მანაც დატოვა პარტია და მერე დაბრუნდა. გახარია არ ეთანხმებოდა პარტიის გადაწყვეტილებას ნიკა მელიასთან დაკავშირებით და დატოვა პარტია, ეს სავსებით ლოგიკურია.

– ხომ არ აჯობებდა, გიორგი გახარიას ნიკა მელიას საბაბით პრემიერის პოსტის დატოვების ნაცვლად სხვა თემა გამოეყენებინა? თუნდაც ეთქვა, იყო თუ არა კობახიძესთან მიმართებით დაპირისპირება?

– რთულია ამის თქმა, არა მგონია, კობახიძესთან შესაძლო დაპირისპირების გაცხადება საჯაროდ მომგებიანი ყოფილიყო. უბრალოდ, გახარიამ გააკეთა ისეთი განცხადება, რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა საერთაშორისო პარტნიორებისთვის, მან არ მოიჭრა ბოლომდე გზები, რადგან შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს. როგორც ვნახეთ, მისი განცხადება პოზიტიურად შეაფასეს ოპოზიციაში, საერთაშორისო პარტნიორებმაც აღნიშნეს, ხედავთ, პრემიერმა ასეთი ნაბიჯი გადადგა და ამით პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას შეეცადაო.

– ხომ არ იყო ზარი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან გახარიასთან მიმართებით, რომ ამ ეტაპზე ჩამოშორებოდა პოლიტიკას?

– იყო თუ არა ზარები, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნაბიჯი მას საერთაშორისო არენაზე პოზიტივში ჩაეთვლება, შესაძლოა, ამაზეც იყო გათვლა. დადის ინფორმაცია, რომ მან შეიძლება საკუთარი პოლიტიკური ძალა შექმნას. ვერ გეტყვით, ეს ვერსია რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში, გახარიას არ უნდოდა, რომ, თუ პოლიცია ნიკა მელიას დასაკავებლად კანონით გამართლებულ ძალისმიერ ქმედებებს დაიწყებდა, რასაც შეიძლება ვიღაცის დაზარალება მოჰყოლოდა, საბოლოოდ მასზე შეეწმინდათ ხელები და ეთქვათ, რაკი პრემიერ-მინისტრი ხარ, შენ ხარ ამ ყველაფერზე პასუხისმგებელიო, როგორც ეს 20 ივნისს მოხდა, როცა ის შს მინისტრი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს 20 ივნისს არ უნდა გაკეთებულიყო, რაც გაკეთდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალის გადამეტების ცალკეული შემთხვევები იყო. მე ვფიქრობ, იმ დროს ძალის გამოყენება ლეგიტიმური იყო, ასე თუ ისე, საზოგადოების ერთ ნაწილში მიჩნეულია, რომ ეს იყო გახარიას მძიმე ტვირთი. გასაგებია, რომ მელიას დაკავების მცდელობისას ნაციონალები ამჯერადაც ყველანაირად შეეცდებოდნენ, მეტი ადამიანი დაზარალებულიყო. გიორგი გახარიამ არ მოისურვა კიდევ ერთი ტვირთის აკიდება და ამიტომაც გადადგა ასეთი პრევენციული ნაბიჯი.

– ეს ადასტურებს, რომ 20 ივნისსაც მის მიერ ბრძანება არ გაცემულა?

– ვერ გეტყვით, თუმცა მაქვს ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ იქ ადგილზე გარკვეულმა მეთაურებმა გამოიჩინეს თვითშემოქმედება. ასეა თუ ისე, მას, როგორც შს მინისტრს, დააკისრეს ძირითადი პასუხისმგებლობა და, როგორც ჩანს, მან ჩათვალა, კიდევ ასეთი მძიმე ტვირთის ხელმეორედ აღება მისთვის მიზანშეწონილი არ იქნებოდა. შესაძლოა, მისი გადაწყვეტილების უკან სხვა მიზეზებიც იყოს, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, შედეგი არის ის, რომ დღეს „ქართული ოცნება“ გახარიას გადაწყვეტილების გამო პოლიტიკურად უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. როგორ დააღწევს თავს ამ სიტუაციას, ეს არის მთავარი.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ნაცმოძრაობაც“ შედის გახარიას სამომავლო პოლიტიკურ თვალსაწიერში?

– მე ასე არ ვფიქრობ, თუმცა რაღაც წარმოუდგენელი ვერსიები მოვისმინე ამის თაობაზე. თუ ეს მოხდა, ალბათ, ის საკუთარ თავს პოლიტიკურ განაჩენს გამოუტანს.

– ღარიბაშვილის დროს დაიწყება დაჭერები?

– დაჭერების რა მოგახსენოთ, მე ვფიქრობ, ერთადერთი, ვინც უნდა დაიჭირონ, ეს არის ნიკა მელია. ის არის კრიმინალი და არ შეიძლება, საქართველოში დამკვიდრდეს ისეთი პრაქტიკა, რომ, თუ შენ ხარ პოლიტიკური ლიდერი, კანონზე მაღლა დგახარ. თუ ეს პრეცედენტი შეიქმნა, სხვა პოლიტიკური ლიდერებიც მიმართავენ მსგავს ქმედებას.

– მელიას მოქმედებების ფინალი რა არის – სააკაშვილის ჩამოსვლა საქართველოში, რომელიც რატომღაც გვარწმუნებს, რომ საქართველოში თანამდებობას არ დაიკავებს?

– მათი საბოლოო მიზანია, სააკაშვილი ჩამოიყვანონ საქართველოში, და როგორ ფიქრობთ, ის თანამდებობის გარეშე დაიტოვებს თავს? მაგრამ ამისთვის საჭიროა, ჯერ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ხელისუფლებაში მათი მოსვლა კი გამორიცხულია. ამისთვის საკმარისი ელექტორალური მხარდაჭერა არ აქვთ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

„თაგვმა თხარა-თხარა, კატა გამოთხარა!“,

ანუ მართლა იბრძოდნენ დისიდენტი ჩარკვიანები კომუნისტების წინააღმდეგ?

ამ უტვინო „პუბლიცისტკას“, ზოგიერთი ტელეეკრანის მუდმივ „ვარსკვლავს“, TAKO-დ რომ იცნობს საზოგადოება და რომელიც უკვე ქვეყნის მასხარა და მოურიდებელი დაცინვა-ზიზღის ობიექტი გახდა, კიდევ წამოუყრანტალებია „ცხელ-ცხელი“ ჭორები და მორიგი ბოდვები.

ამ დღეებში, მან და მისნაირმა სულით გახრწნილმა ტიპაჟმა (არა მარტო მდედრებმა) პოლიტიკურ თემაზე ლაყბობის გარდა, უკადრებელიც იკადრეს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატზე – ირაკლი ღარიბაშვილზე, მის პირად ცხოვრებასა და ოჯახზე. „კანონი და სამართალი“ ფეხებზე დაიკიდა ამ პრიმიტივმა და ტანკივით გადაგვიარა „ხურდაში მოყოლილ“ ბიძინა ივანიშვილს, ქოცების კონსულტანტ ლაშა ნაცვლიშვილსა და მე, ასევე ჩვენს ე.წ.. „კლასტერს“, როგორც პოლიტიკური „სპექტაკლების“ შემოქმედებს.

ღარიბაშვილი – გასაგებია: მისმა წარდგინებამ ეგ „ჯამაათი“ შოკში ჩააგდო და, ეტყობა, „ქიზიყური ნიავის“ ქარიშხლად გადაქცევის საშიროება იგრძნეს.

ნაცვლიშვილისადმი „აღტაცებასაც“ აქვს ახსნა; იგი არ მალავს არც დამოკიდებულებას და არც „ოცნების“ კონსულტანტის თანამდებობრივ სტატუსს, ტელეეკრანებსაც ხშირად სტუმრობს.

ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინების მიზეზი ხომ დღესავით ნათელია – ის არის ავტორი ყველა „უბედურების“: მისი ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის, ძმის სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელი მკურნალობის დამფინანსებელი, მამის „გამთაწმინდელებაზე“ პასუხისმგებლობის ამღები, მისი კერპის – საკაშვილის ქვეყნიდან განდევნის ორგანიზატორი, ქვეყნის „შეგნებულად დაქცევის“, რუსეთისთვის ყველა სტრატეგიული ობიექტის „გადამცემი“ და საქართველოს „რუსულ გუბერნიად გადაქცევის პროექტის ავტორი“...

მე? აი, მე ვარ თუ ვარ...

მე თავად მაგის ბჟუტურს რა მომასმენინებს. მაგრამ ვინც მოისმინა, ის მწერს (თანაც, იუმორის ნაზავით):

„თაკოს დაეჯერება, თურმე დიდი საბჭოთა კავშირის ჯარი შენს სურვილზე დარბოდა; გამოდის, რომ ახალაც დარბის და რუსეთს აომებ საქართველოსთან აგერ 30 წელია;

თაკო გიკრძალავს და არ შემოგაგრიალებინებს რუსეთის ჯარს საქართველოში;

თაკოს ბოიკოტიც ამ დიად და ნათელ მიზანს ემსახურება, გადაარჩინოს საქართველო და ბოლო მოუღოს შენს 30 წლიან პარპაშს, პრემიერებს რომ ხსნი და ათავისუფლებ შენს ჭკუაზე;

რაის საქართველოს გენერალი, მთლად საბჭოთა კავშირის გენერალიტეტში ტრიალებდი და იქაც ბელადობდი თურმე;

30 წლის წინაც არავის ემორჩილებოდაო, თავისი უფლებები ქონდაო, საბჭოთა კავშირის დროს და ახლაც, ანუ, 80 წელს მიღწეული რა ხარისხის თავისუფლებას ფლობ წარმოდგენაც კი მიჭირს.

კარტელიც გქონია სხვა კარტელში ჩართული, ეს ცოტა ვერ გავიგე მაგრამ მაინც მომეწონა.

* * *

მოკლედ, მორიგ წრეზე დავიწყეთ „გართობა“, ჯერ არც ერთი არჩევნები, არც ერთი სამთავრობო ცვლილება შენი „ჩართულობის“ გარეშე არ განხორციელებულა“.

ამას რომ ე.წ. „პარტიის“ ე.წ.ლიდერი სერიოზული(!) სახით ტელეეკრანზე იბჟუტურებს, წამყვანი რომ სერიოზული (!) სახით უსმენს და ესაუბრება, იმ ტელევიზიას სერიოზული(!) მედია შეიძლება უწოდოს სერიოზულმა(!) ადამიანმა?

ამ მდედრის ასეთი გონებაჩლუნგობა, არც სხვებზე და არც ჩემზე, სრულებით არ მიკვირს არც მისი „ღრმა და ფართო ინფორმირმირებულობა“, არც უკიდეგანო, ავადმყოფური გაკაპასება. ვინმემ, სერიოზულმა ადამიანმა დრო რომ დაკარგოს და გააანალიზოს მისი ტელემონოლოგები თუ დიალოგები ან „პუბლიცისტური“ ნაწერი, დასკვნა ექნება მოკლე, მარტივი და ურყევი: **აბსოლუტური პრიმიტივიზმი, სრული უვიცობა და აშკარა სიბრიყვე.** ეს ერთი. მეორე – ჩემი დაცხრილვა ყველა მის გამოსვლაში გარდუვალია: მე ხომ ბოლო წლებში ამ ცრუპენტელასა და „ისტერიჩკას“ მუზა ვარ.

ეს „მორკინალის დედოფალი“ სხვას (მე ვერ!) აბრალებს მილიარდების გაქრობას, სხვათა დაჩაგვრას.

არადა, დამალული არ არის მისი ოჯახის ფინანსური მაიმუნობები, მათ შორის წილების „ახევა“, კრედიტების ჩამოწერა, შანტაჟი;

– არც ის, თუ როგორ იყენებდა ეს ოჯახი შევარდნაძის წრეში პოეტი მამის ტრიალს, როგორ „კრიშავდა“ მამა სიძე-ქალიშვილის ბიზნესს და როგორ “იბრმავებდნენ“ თავს ძალოვნები მის „მახინაციებზე“;

– ისიც არ არის დამალული, ვის მკვლელობას აბრალებენ დღემდე ამ „კრისტალივით სუფთა“ ოჯახს...

– ისიც გაჟღერებული იყო, თუ როგორ დაეპატრონნენ ამ ხელისუფლების პირობებში მიწებს (შენობებს, ბიზნესს);

– მთელმა ქალაქმა იცის, თუ როგორ „შეაწერეს“ მომაკვდავ ადამიანს ბინა და დღემდე არ აღირსეს ვალის დაბრუნება.

– როგორ... (სია გრძელია)

ეს არ არის „საიდუმლო“ ინფორმაცია. არ არის არც ის ჭორები, შეკრებილი ჩარკვიანებისთვის მეტისმეტად ნაცნობი და ახლობელი „კაგებეშნიკური“ (!!!) მეთოდებით.

ეს ინფორმაცია, ზოგ შემთხვევაში უცნობია არა მარტო ახალთაობისთვის, არა მარტო მისი სასაცილო ე.წ. „პარტიისთვის“, არამედ ბევრი ასაკოვანი ადამიანისთვის, რომელსაც ეს ოჯახი „ანგელოზების ბუდე“ ჰგონია.

ჰოდა, მაიძულეს გადამელახა რუბიკონი... შეავსოს აწი და გაამდიდროს „ევნუხების“ მიერ რუდუნებით შეკრებილი „დოსიე“ (სხვებს რომ აშანტაჟებს) ახალი (ძველი) მასალებით, ჩარკვიანებს რომ ეხებათ და ატრიალოს (და გამოიყენოს), აფრიალოს წინ და უკან...

ამჯერად მხოლოდ ეს ფაქტები (მხოლოდ და მხოლოდ ფაქტები), რომლებიც იმაზე მეტყველებენ, თუ როგორ დისიდენტურ გარემოში იზრდებოდა კომუნისტების მოძულე, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ზიზღის სულისკვეთებით აღზრდილი, ქმრის ფულით შექმნილი, ანტირუსული და ანტიკომუნისტური პარტიის დამფუძნებელი, თანამედროვე ქართველი (გაერთიანებული) კლარა ცეტკინა და როზა ლუქსემბურგი:

1. ბაბუა – მიხეილ ჩხეიძე, კომუნისტი, კომპარტიის ცეკას წევრი (მრავალგზის), საბჭოთა საქართველოს მინისტრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი (ამ სტატუსს მოსკოვი, პარტია, სპეციალური დადგენილებით აძლევდნენ განსაკუთრებული დამსახურების მუშაკებს). დაჯილდოებულია საბჭოთა სახელმწიფო ჯილდოებით.

2. ბაბუა – ავდიდ ჩარკვიანი, კომუნისტი, უმსხვილესი რესპუბლიკური ტრესტის მმართველი, უდიდესი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკურ პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანი.

3. ბიძა – ჯიმშერ ჩარკვიანი, სტაჟიანი კომკავშირული მუშაკი, კომუნისტი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ცეკას მდივნის (ჯ.პატიაშვილის) თანაშემწე, საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე. დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით.

4. ძმა – მამუკა ჩარკვიანი, თბილისის კალინინის (ახლანდელი – მთაწმინდის) რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი.

5. მამა – ჯანსუღ ჩარკვიანი, კომუნისტი, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე – გათანაბრებული კომკავშირის ცეკას მდივანთან (ეს თანამდებობა, გასაგები(!!!) მიზეზების გამო, არ არის აღნიშნული ვიკიპედიაში), კომკავშირის ცეკას ბიუროს წევრი, კომკავშირის ჟურნალის „დილას“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ცისკრის“ (საქართველოს კომკავშირის ცეკასა და მწერალთა კავშირის ორგანო) მთავარი რედაქტორი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „დროშის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივანი (შტატიანი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი; საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი;

1978 წელს მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია;

1985 წელს 1983-84 წლებში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, ასევე, მიენიჭა საბჭოური პატრიოტული რწმენის ლექსად თქმისთვის ლენინური კომკავშირის პრემია (ვიკიპედიაში არ წერია არაფერი ამ - კომკავშირის პრემიით დაჯილდოებაზეც).

საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს და პარლამენტის დეპუტატი, საკავშირო და რესპუბლიკური არაერთი კომკავშირული და პარტიული ყრილობის დელეგატი, უცხოეთში გაგზავნილი არაერთი კომუნისტურ-კომკავშირული დელეგაციის წევრი. დაჯილდოებულია საბჭოთა სახელმწიფო ჯილდოებით.

ავტორი ლექსებისა ლენინზე, სტალინზე, იაკობ ჯუღაშვილზე, ირინა სხირტლაძეზე (პოლონეთში მებრძოლ ანტიფაშისტზე)... მონაწილეობდა „უცნობი ჯარისკაცის“ გადმოსვენებაში. ამ ლექსებით გაიკეთა მან კარიერა, მოიპოვა ხელისუფლებისა და კომპარტიის მხრიდან აღიარება, პრივილეგიები.

სიცოცხლის ბოლო წლებში მას ყველაფერი „დაავიწყდა“, ძალიშვილსაც „დაავიწყებინა“, სამაგიეროდ ანდერძად დაუბარა ანგარიშსწორება იმ ადამიანებთან, ვინც მიაჩნდა, თავის დროზე, დამნაშავედ იმაში, თუ რატომ ვერ გახდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ამ“საძმის“ მოწმენი და მონაწილენი. ერთხელ მოხდა საინტერესო გარჩევა და ბოდიში მომიხადეს. ეტყობა, ოჯახში ამ „ჩასვრის“ მოყოლისა მავანს შერცხვა და...

„მორკინალის დედოფალი“, მოჩერჩეტო „პუბლიცისტკა“ არც მალავს შურისძიების სურვილს. უფრო მეტიც, შემოთვალა კიდეც, რომ იწყებდა ანგარიშსწორებას.

ასეთ და სხვა დეტალებზე მომავალში ვისაუბრებ. იმაზეც, რატომ „იბრალებს“ ეს ოჯახი სხვის დამსახურებებს, როგორი მეგობრობა აკავშირებდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან, რატომ აბრალებენ „ჩამშვებობას“, „გახელებას“, ვინ და რატომ შეარქვა „... სუკ“, როგორი გაბედული იყო, როგორც მთავარი რედაქტორი, თანაც ისეთი, რომ არავის „ეპუებოდა“ და სხვა მსგავსი ზღაპრები.

ვიდრე ბოლოში გავიდოდე, ორიოდე სტრიქონი მინდა გავაცნო „კანონი და სამართლის“ თინეიჯერ ბიჭუნებსა და გოგონებს. უნდა იცოდნენ, რომ თუ მავანს დასჭირდება, დაივიწყებს ამ სტრიქონებსაც, ამ ლექსებსაც და გიკიჟინებთ მართლა ძვირფას სტრიქონებს: „თავისუფლება-ლომთა ხვედრიას“.

მაგრამ, გახსოვდეთ, მომავლის ანგელოზებო: თქვენი პარტიის ლიდერი ბავშვობაში იზეპირებდა მამამისის მოწოდებას:

„უსმინეთ ლენინს“ და გამოთქმით, ემოციურად, ახლა რომ კითხულობს გალაკტიონს, მურმან ლებანიძეს და სხვა კლასიკოსებს:

„ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში
ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს დიდი
ლენინი...“

ასევე, ტრიბუნიდან ეკითხებოდა საქართველოს:
„ჰქვია ბელადი, კიდევ? – მამა და კიდევ?
– ბრძენი
და გამარჯვება გრიგალებში გამოვლენილი...
ჩვენ ამ სიტყვებით გვასწავლიან ვლადიმერ
ლენინს,
ვინა ხართ ქვეყნად ცრემლიანი და მოწყენილი...
ლენინი მოჩანს ყველა მხრიდან, უსმინეთ ლენინს,
დგას ტრიბუნაზე და ვრცელ სიტყვას ამბობს
ლენინი...“

გაიგეთ, საძულველი და ოკუპანტი რუსეთის რევოლუციის ბელადს ხშირად შესძახებდა მამაშვილი: ბელადი!.. მამა!.. ბრძენი..

ამითაც არ კმაყოფილდებოდა ეს უტიფარი და საგანგებოდ დგებოდა 40-გრადუსიან ყინვაში, უკიდეგანო რიგში, ლენინის გარდაცვალების დღეს და მერე, სასტუმროში დაბრუნებული გულამოსკვნილი წერდა ლექსს:

„მოსკოვი, იანვრის 21“.

და ეს შეუპოვარი ქართველი პატრიოტი მდედრი, გრიშა ვაშაძის შნირი, „დავით აღმაშენებლის სტრატეგიას“ და ვაშაძე-იუნიორს ამოფარებული, გულსა და გონებაში ისევ დუდუნებს:

„და ხალხი ამბობს: „ქვეყანაზე თუ ვინმეა,
მხოლოდ შენ ერთი...
„და მოუწოდებს ხალხებს ბრძენი და დიდი
რუსი:
„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ვიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერ საძრახისს ამ ლექსების წერაში ვერ ვხედავ, უბრალოდ არ მომწონს, ამ ლექსების ავტორის შვილი მორალს რომ გვიკითხავს, პატრიოტიზმს რომ გვასწავლის, რუსოფილობას რომ გვიკიჟინებს. თორემ ჩემი წარსულის ადამიანს ეს ლექსები სულაც არ მაღიზიანებს. და არც გავიხსენებდი, მიუხედავად იმისა, რომ იმ კომისიებისა და კომიტეტების წევრი ვიყავი, რომელთა გადაწყვეტილებებით ავტორი ჯილდოვდებოდა. ამ თემას სხვა დროს უფრო გავშლი, გავიხსენებ, რა მადლობელი იყო ავტორის ოჯახი, როცა ამ ჯილდოებს იღებდა...

აი, ამ ოჯახურ და „იდეურ-პატრიოტულ“ გარემოში იზრდებოდა ცნობილი ქართველი დისიდენტის, კომუნისტების აქტიური მოწინააღმდეგის, ზვიად გამსახურდიას „თანამებრძოლის“ ქალიშვილი; თავადაც მომავალი აქტიური დისიდენტი, პარალელურად, საბჭოთა ტელევიზიის თანამშრომელი (მამამისის პროტეჟეობით მიღებული); შემდგომ სააკაშვილის – „მეფე შადრევან პირველის“ (ჯ.ჩ.) წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი; „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ყრილობის აქტიური მონაწილე (მამასთან ერთად); მისი საარჩევნო მოძრაობის ერთერთი მგზნებარე აგიტატორი, პროპაგანდისტი და დაუღალავი სპიკერი...

არჩევნების შემდეგ – კულტურის მინისტრის მოადგილეობის კანდიდატი, შემდგომ, ტუტუცური ქცევისა გამო, სამინისტროს შენობიდან გამოძევებული და, ამის შედეგად განაწყენებულ-გაბოროტებული შეურიგებელი ანტიბიძინისტი თამარ (იგივე, თაკო, TAKO) ჩარკვიანი-გიგანისა.

და ეს უტიფარი, სულით გახრწნილი, „კაგებეშნიკურ“ ზნე-ჩვეულებებზე დაქოქილი და მართლა ავადმყოფი არსება, რუსულ ორბიტაზე მყოფის, მოღალატის და მტრის იარლიყებს აკერებს სხვებს. გულიანად უნდა გაიცინო კაცმა. დაავიწყდა მამამისს რა იარლიყებით ამკობდნენ და როგორ განიცდიდნენ ამას ოჯახში, ეს მართლა შუბლზე ძარღვგაწყვეტილნი... ამ მოჩერჩეტო და პრიმიტივ ტიპს, ეტყობა, მართლა არ ყავს პატრონი. ახლობლებმა ჩააკმენდინეთ ხმა ამ ბრიყვს. კიდევ ერთი სიბინძურე, რაც მან ღარიბაშვილის ოჯახს აკადრა და... ისე არ გაიხადოს საქმე, რომ ბოლომდე დავივიწყოთ ის პაწია სითბო, რომელიც ამ ბოროტ ადამიანებთან (მამუკას გამოკლებით) მაკავშირებდა.

ნუგზარ ფოფხაძე



როდესაც ქვეყანას ამდენი მოღალატე ჰყავს...

... მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს, — ასე მთავრდება სათაურში გამოტანილი ფრაზა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ ათქმევინა მეფე გიორგის „დიდოსტატის მარჯვენაში“. რასაც ამის თქმისას განიცდიდა მეფე გიორგი თუ დიდი კონსტანტინე, მაშინ ვიგრძენი, როდესაც საპატიმრო დაწესებულებიდან ორი „ექსპერტის“ გამოსვლის კადრები ვიხილე ტელეეკრანზე. ისინი ხელაწეულები ესალმებოდნენ მათ დასახვედრად მოსულ აღფრთოვანებით მოზეიმე ხალხს, მიკროფონმომარჯვებულ ჟურნალისტებსა და ვიდეოკამერებიან ოპერატორებს...

თავზარდამცემი იყო ეს შეხვედრა! ასე ხვდებიან გმირებსა და ბრძენკაცებს!

რა გმირობა ჩაიდინა, ან რა სიბრძნე გადმოაფრქვია ამ ორმა „ექსპერტმა“, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გირაოს სანაცვლოდ რომ გამოუშვეს საპატიმროდან. რა და, „მამაცურად“ და „გენიალურად“ დაასკვნეს, რომ დავით გარეჯის მონასტრის ნაწილი საქართველოს მიწაწყალზე არ არისო. აი, ეს დაადგინეს დავით გარეჯის იმ სამონასტრო კომპლექსზე, რომელიც ათადან და ბაბადან საქართველოს უდიდესი რელიგიური და კულტურული ძეგლია.

აი, ამ „ექსპერტებს“ დახვდა ოვაციებით, სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი.

მე იმ ორი „ექსპერტის“ საძციელი არ მიკვირს. ერთი-ორი სულელი, უვიცი და ქვეყნის მოღალატე ყოვლთვის იყო და არის ყველა ქვეყანაში, მით უფრო ჩვენში. მაგრამ ასე აშკარად ღალატი და ამ ღალატით თავმოწონება არც მინახავს და არც მსმენია.

ქვეყანა მართლა თავდაყირა დამდგარა და ჩვენ ვერა გაგვიგია რა!

აბსურდის თეატრში რომ ვცხოვრობთ, ეს ნამდვილად არ იწვევს ეჭვს!

აბა, ერთი მითხარით, რას იძიებდა პროკურატურა ამდენი ხნის განმავლობაში, როცა ის ორი „ექსპერტი“, უფრო ზუსტად მათ შორის მთავარი, ათეულობით მიკროფონჩაბღუჯული ჟურნალისტების წინ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აცხადებს იმას, რასაც მათ ბრალად სდებს პროკურატურა. ამგვარი ბრალდების წაყენებას რა გამოძიება უნდოდა ნეტავი! ერთი რამ იყო ძალიან მარტივად დასადგენი: **ისინი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაშინ მტრებად უნდა მიიჩნიო და ვერანაირ სამართლებრივ ბრალს ვერ წაუყენებ, ხოლო თუ ჩვენი მოქალაქეები ბრძანდებიან, მაშინ სრულ ჭკუაზე თუ ხარ და ისინიც შერაცხადები არიან, ქვეყნის მოღალატეებად უნდა მიიჩნიო და მოღალატის ადგილი სადაც არის, ყველამ იცის ჩვენშიც და სხვაგანაც.**

ახლა რასაც ვიტყვი, მარტო მე რომ გამეგონა და ტელევიზიით საქვეყნოდ არ გახმაურებულიყო, ამის თქმას რა გამაბედვინებდა. ვინ დამიჯერებდა, რომ ასეთი რამ საჯაროდ განაცხადა ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა. უიმედო გიჟად ჩამთვლიდა ყველა და იქნებ სასჯელიც დაედოთ ჩემთვის ყოფილი ხელისუფლების ცილისწამებისთვის — სამშობლოს ღალატში დადანაშაულებისთვის. არა და, მართლა ასე იყო... დავით გარეჯის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ტელეკამერების წინ განაცხადა: **ჩვენ შევთანხმდით, რომ აზერბაიჯანისთვის გადაგვეცა რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სჭირდება ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ მეზობელ ქვეყანასო. სამაგიეროდ, გარეჯის მონასტერი მთლიანად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მოექცევაო.**

ნამეტნავად ძნელი წარმოსადგენი კი არის ამ განაცხადების ავტორის ჭკუათამყოფელობა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი იყო და ამ ფაქტს სად წაუხვალ!...

ის სტრატეგიული სიმაღლეები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრებთანაა. ისიც თუ ვიცით, რომ „სტრატეგიული სიმაღლე“ სამხედრო ტერმინია, რომელსაც მნიშვნელობა მხოლოდ ომის პირობებში აქვს, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ახლა, ან მომავალში ომს აპირებს საქართველოსთან, თორემ სხვა შემთხვევაში რაში უნდა სჭირდებოდეს საქართველოს საზღვრისპირას არსებული სტრატეგიული სიმაღლეები, რომელშიც იგი ერთობ მნიშვნელოვანი ობიექტის დათმობას გვპირდება.

ამ სტრატეგიული სიმაღლეების აზერბაიჯანისთვის გადაცემას ვაპირებდიო, — აღიარა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და „დემოკრატიის შუქურამ“, ანუ ჩვენი ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის ჩვენივე ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილში გაცვლა მინდოდაო.

ახლა ის უნდა ვიკითხოთ, რა შეფასებას იმსახურებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საქვეყნოდ გაცხადებული აღიარებითი ჩვენება?

აქაც ძალიან მარტივი ამოცანა დგას: **ყოფილი პრეზიდენტი თუ შერაცხადია, მაშინ ან მთელი ერი უნდა დაადანაშაულო თავისივე თავის ღალატში, ან ყოფილმა პრეზიდენტმა უნდა აგოს პასუხი თავის განზრახვაზე, რომლის სისრულეში მოყვანა მან თავისი პრეზიდენტობისას ვერ მოასწრო. მთელ ერს, ცხადია, პასუხისგებაში ვერ მისცემ, ეს მხოლოდ უფალს შეუძლია, ან სხვა ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც ექნება საიმისო მიზეზი, რომ მთელი ჩვენი ერი დასაჯოს. უფალი კი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მოწყალეა ჩვენთვის...**

პრეზიდენტის განზრახვას რაც შეეხება!

ჩვენო ხელისუფლებავ, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა, თავდაცვის, უშიშროების, შინაგან საქმეთა მინისტრებო, ამდენ ხანს არ იცოდით ეს გლახა საქმე? ამ ქვეყნის მოღალატე ხელისუფლებასთან ჩახუტებას რომ გვაიძულებდით და მათთვის გზის გასაიოლებლად „შუა უნდა გაიკრიფოსო“ გაიძახოდით, ხომ გაკრიფეთ ის შუაც, როგორც დასეტყვილი ვენახის ზოლები და რა მოსავალიც მიიღეთ, აგერ ჩანს თქვენს „მარანში“: შარვალნიფხავჩახდილებს, ხაზინის ძურდებს, პოლიტიკურ ხულიგნებსა და დეგოშიორებს, ძუჩის ბიჭებსა და შარლატანებს ყელგამოწეული ემუდარებოდით, პარლამენტში შემოდითო! აბა რას იზამთ, ყველა უცხოელის გეშინიათ — აშშ-ს სენატორი იძნება თუ ნატოელი რაღაც ჩინოსანი, ევროკავშირის ვიღაც ვიგინდარა წარმომადგენელი, თუ სულაც დეგენერატი ექსპერტი, რომელიც ავსტრიასა და ავსტრალიას ვერ არჩევს ერთმანეთისაგან და ბელორუსის საზღვაო პორტებს ეძებს რუკაზე.

შიში შიშად, მაგრამ იმ საქციელზე, რასაც დანაშაულის დაფარვა ჰქვია, პასუხი ვინ უნდა აგოს? არა და, შიში, რამაც ქვეყნის ღალატი ჩაადენინა ჩვენს ხელისუფლებას, განა დანაშაული არ არის? ასე რომ არ იყოს, არცერთი მოღალატე არ დაისჯებოდა ამ ქვეყანაზე, ყველა თავს გაიმართლებდა, შემეშინდა და რა მექნაო.

ჩვენი ხელისუფლება დიდი ჭკუითა და შორსმჭვრეტელობით რომ არ გამოირჩევა, აშკარაა, იმის მიუხედავად, რომ ჰუმანურობისა და კეთილშობილების ნიღაბი აქვს აფარებული სახეზე. სახეს კი დაიფარავ, მაგრამ „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“-ო იმისი არ იყოს, ხელისუფლების ქმედებანი კარგა ხანია აზრს უკარგავს მის მიერ დეკლარირებულ პრინციპებსა და მიზნებს...

ერთი ასეთი ეპიზოდი ვიხილეთ წინა პარლამენტის სხდომის ტრანსლაციისას: დღისით-მზისით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავ-პირ შეფუთნილი ორი ქალი შემოვიდა (ქალებს ჰგვანდნენ, თორემ მართლა ქალისა რა ეცხოთ ნეტავი?) და რაღაც სითხე მიასხურ-მოასხურეს დარბაზში. ატყდა პანიკა. როგორც ჩანს, იმ სითხეს მძაფრი სუნი ასდიოდა და პარლამენტის წევრთა ერთი ნაწილი ცუდად გახდა, ზოგი იმდენად ცუდად, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება და საავადმყოფოში დაზარებულთა გადაყვნა გახდა საჭირო. ყველამ იცნო იმ შეფუთნილ ქალებში ოპოზიციონერი დეპუტატები!

რა რეაქცია უნდა ჰქონოდა და რა რეაქცია ჰქონდა პარლამენტს იმ ორი ოპოზიციონერი დეპუტატის ამ უპრეცედენტო ქმედებაზე?

ნორმალურ ვითარებაში, ის ორი ვაიდეპუტატი ადგილზე უნდა დაეკავებინათ, სასწრაფოდ მოეხსნათ მათთვის სადეპუტატო იმუნიტეტი და პროკურატურას საქმე აღეძრა ამ, უდავოდ, სისხლის სამართლის დანაშაულზე. მერე პროკურატურისა და სასამართლოს მოვალეობა იქნებოდა, ტერორიზმის მუხლით გასამართლებდნენ იმ ორ „პოლიტიკოსს“ თუ ბოროტი ხულიგნობის ბრალდებით.

არანორმალურ ვითარებაში კი... ამ ფაქტზე იქვე, პარლამენტში, უმრავლესობის ლიდერმა მყისიერად გამოხატა თავისი (და თავის თანაგუნდელების!) რეაქცია და ასე შეაფასა კოლეგების მოქმედება: **მაგათი დამახასიათებელი თვისებაა ყველგან ცუდი სუნის დაყენებაო.** აი, ეს იყო მთელი სახელისუფლო გუნდის „იუმორისტული“ პასუხი ამ აღმაშფოთებელ დანაშაულზე.

ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო ვართ, რასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც ხაზგასმით აღნიშნავენო. სიტყვის თავისუფლებას ჩვენში არაფერი ემუქრებაო. ჰო, აბა, რა! პირდაპირ ეთერში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და უდიდესი ქვეყნის პრეზიდენტსა თუ ქართველ ფოტორეპორტიორთა სრულიად უწყინარ წარმომადგენელს დედას რომ აგინებ, სიტყვის თავისუფლებაა, აბა რა! ხოლო პარლამენტის დეპუტატებს სხდომაზე შესვლის საშუალებას რომ არ მისცემ და მუჯლუგუნების ჯიკავ-ჯიკავით მიაცილებ „ურჩებს“ ალაყაფის კარებამდე, სწორედ დემოკრატიის ნიმუშია. კი, აბა!

ცხონებულმა მხედრიონელმა ჯაბა იოსელიანმა ამგვარი „დემოკრატების“ გასაგონად ჩვეული ირონიით თქვა: **დემოკრატია ლობიოობა არ არისო.** ეს ფრაზა ბევრმა სწორად ვერ გაიგო და „ლობიოობა“ ლობიოს ჭამად გაშიფრა. არა და, ლობიოს ჭამა არაფერ შუაშია. ლობიოობა საქართველოს ერთ კონკრეტულ რეგიონში, სადაც ჯაბა იოსელიანმა ბავშვობა გაატარა, ნიშნავს ინერტულობას, უმაქნისობას, ანუ ისე, როგორც ლობიო საკმაზი ინგრედიენტების გარეშე თითქმის უვარგისია საჭმელად.

დემოკრატია ქვეყნის მმართველობაში უმრავლესობის ნების განხორციელებაა და არა ისე, როცა ასიოდე პედერასტი, ტრანსგენდერი და ლესბოსელი მთელი მილიონიანი ქალაქის მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ აღლუმის ჩატარებას აპირებს მთავარ პროსპექტზე, რომელიც გენიალური პოეტის სახელობისაა.

ქვეყნის ღალატი მხოლოდ ის კი არ არის, შენი სიტყვითა თუ ქმედებით უცხო ქვეყნის სასარგებლო და შენი ქვეყნის საზიანო საქმეს რომ გააკეთებ, ან შენი სახელმწიფოს საიდუმლოებას რომ გაუმხელ სხვას, ანგარებითა თუ უანგაროდ; ქვეყნის ღალატია ისიც, შენი პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად სიმართლეს რომ დამალავ და სხვათა საამებლად სიცრუის მსახური გახდები. ზოგიერთმა ამგვარი საქციელი შეიძლება შეცდომად მიიჩნიოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეცდომა ზოგჯერ დანაშაულზე მეტია. შენს დიდ და ძლიერ მეზობელს სხვისი წაქეზებით წამდაუწუმ რომ აგინებ, ზესტაფონისა თუ თელავის რაიონში ძროხის გაბერწებასაც მას რომ აბრალებ, როცა იქნება ამისათვის პასუხს რომ მოგთხოვენ, არ უნდა იცოდე ეს? კარგი, ვთქვათ ისტორია არ იცი, უვიცი და უმადური ხარ, მაგრამ აქეთ-იქით რომ მიიხედ-მოიხედო, ამის უნარიც არ გაქვს? არ გაქვს და ნუ გაქვს, მაგრამ ჩვენ რას გვერჩი შენს ამომრჩევლებსა და ხელისუფლებაში მომყვანებს? შენ შენი მილიონებით ცხრა მთას იქით, თუნდაც მამაჩემის მამასთან წასულხარ, მაგრამ ჩვენ „სხვა სამშობლო ამაზე მეტი“ არ გაგვაჩნია...

...ერთიც უნდა გითხრათ, ჩემო ძვირფასო მკითხველო და სამშობლოს პატრიოტებო, მართალი ყოფილა ის კაცი (იცით თქვენ, რომელიც!), **რომ თქვა — სხვის ომში მხოლოდ სულელები იბრძვიან მამაცურადო. ავღანეთსა და ერაყში, სირიასა და სულაც სომალში საქართველოს დაცვა რომ შეიძლებოდეს, რაც ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში ავღანეთისა და ირანისთვის, თურქეთისა და ერაყისათვის (დაუდ შაჰი!) იბრძოლეს, საქართველო ახლა ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო უნდა იყოს. მაგრამ... ჩვენ ხვიშტი შეგვრჩა მხოლოდ!**

მე იმის იმედი აღარ მაქვს, ამდენი მოღალატის მოცილებას ქართველი ერი რომ შეძლებს. ერთი იმედიღა დამრჩენია მხოლოდ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანასა და წმინდა გიორგის სამწყსოს უფალი არ გაწირავს. თუმცა აქვე მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსის სტრიქონები: „ამას, იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ კი ხმლისა წილ ჯიხვისანი გვიჭირავს რძანი, ვინ, ვინ შეგვინდობს ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, ერთი მითხარი!“



ზურაბ ცუცქირიძე
ტელ: 555 56 75 37

წერტილოვანი დარტყმები და ღარიბაშვილის ფაქტორი

— არასდროს მისცე საზოგადოებას დამშვიდების საშუალება;

— არასდროს აღიარო საკუთარი შეცდომები;

— არასდროს დაუშვა ის აზრი, რომ შენს მტერს შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური თვისებები;

— არასდროს აღიარო დანაშაული;

— ყოველთვის კონცენტრირდი ერთ რომელიმე მტერზე და ყველა უბედურება მას დააბრალე, მუდმივად შეაწმინდე ხელი;

— გამოიყენე „დიდი ტყუილი“, რადგან დიდ ტყუილს ადამიანები უფრო ადვილად იჯერებენ, ვიდრე პატარას!

ეს არის გერმანული ნაციზმის პროპაგანდის მთავარი პრინციპები, რომლებსაც ისინი საკმაო წარმატებით იყენებდნენ და რომლებიც დღეს ქართული ნაცმედიის უმთავრეს დოგმებად იქცა.

ხელისუფლებაში რევანშით მოსვლის იდეაფიქსით შეპყრობილმა ნაცსექტამ, გებელსის ეს „მცნებები“ წარმატებით აიტაცა და თავიანთი „პლინტუსს ქვემოთ“ არსებული რეიტინგის გამო კიდევ ერთი პუნქტი — „წერტილოვანი არეულობა“ დაუმატა.

გარკვეულ ლოკაციებთან აჟიოტაჟის შექმნა, კარვების დადგმის ცდილობა, პოლიციასთან დაპირისპირება, რომლებიც, ცხადია, თავიანთი მედიასაშუალებების მიერ ისეთი რაკურსით იქნება გადაღებული, რომ „პროტესტანტების“ დიდი რაოდენობა გამოჩნდეს (უბრალოდ ოპერატორმა კადრი ქვემოდან უნდა აიღოს) და ამ საქმეში გაურკვეველ ხალხში სასურველი ეფექტი, ან მინიმუმ ეჭვის ჭია უკვე ჩაგდებულია.

ჯერ პარლამენტთან, შემდეგ კანცელარიასთან, პარალელურად „ოცნების“ ოფისთან დ.ა.შ.

სულ 100 კაცის ხუთეულებად განაწილება და 20 ლოკაცია ფაქტობრივად აღებულია. შესაბამისი გაშუქება და არეულობის იმიტაცია მოხდა. ასევე ყურადღებაც გადადის მათი შტაბიდან, სადაც მელიაა „გამაგრებული“.

ამ ყველაფერს ხაშლამაზე მოყრილი მარილივით ეფინება ლიეტუველი დეპუტატის ჟიგიმანტას პავილიონისგან ჩვენი დატუძსვა და ფასილიტატორების უაზრო განცხადებები.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ თუ ლიეტუვას გზას გადავხედავთ, ვნახავთ: ლიეტუვას სახელმწიფოს არ უპატიებია დანაშაულები არც ცნობილი ლიეტუველი ევროპარლამენტარისთვის, უსპასკიჩისთვის, რომელსაც 2013 წელს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა (და რომელსაც რამდენჯერმე აჰყარა საპარლამენტო იმუნიტეტი); არც მთელი პოლიტიკური პარტიებისთვის, როცა 2017 წელს ორი პოლიტიკური პარტია გაასამართლა და არც თვით მოსამართლეებისთვისაც კი, როცა 2019 წელს რვა მაღალი რანგის მოსამართლე დაიჭირა.

აი, მართლა უნდა გავყვეთ „ლიეტუვის გზას“ და დამერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ...

მე ჩვეულებრივ სტატისტიკურ მოქალაქეს მაქვს შეკითხვა: რა ხდება ჩემს ქვეყანაში და რა ხდება ჩემს თავს?

ნიურნბერგის პროცესია, ამხელა აჟიოტაჟი რომ არის ატეხილი, იაპონჩიკს ასამართლებენ, თუ აიხმანი ჩამოიყვანეს არგენტინიდან?

უკაცრავად რა!!!

ამოვიდა ყელში ეს „დემოკრატია ერთ ლარად“ „ბუტკებში“ ნაყიდი დასავლური სტანდარტები.

ამოვიდა ყელში ეს მარაზმი!

ხელისუფლებავ, გაანძრიეთ ერთი ადგილი, სანამ...

არ იქნებოდა ეს მარაზმი, თავის დროზე ნაცების დანაშაულებზე შესაბამისი რეზოლუცია რომ მიღებულიყო.

არ იქნებოდა ეს მარაზმი, რომ ვაშაძე პოლიციელზე თავდასხმისთვის დაესაჯათ. რომ გვარამიას პასუხი გასცემოდა პროკურატურასთან ქალზე თავდასხმისთვის. რომ პრეზიდენტზე ბულინგი დასჯილიყო.

რომ, რომ, რომ...

ერთ ძალიან ცუდ სცენარს ვიტყვი, რისი განხორციელების იმედი ქართველების ინფანტილურობის გამო არ მაქვს და რომელიც ძალიან კარგია: — ხალხი მართლა რომ გაბრაზდეს ამ იმპოტენტებით და ნაცებს დაერიონ, როგორ ფიქრობთ, „ჯაააან“ დეპუტატებს რა დაემართებათ?

თურმე იმპოტენციაც ხანდახან საჭირო ყოფილა.

კიდევ, კაი, რომ ქართველები რევოლუციებს არ ვაწყობთ. ჩვენ მხოლოდ ბოლოს მოვდივართ „გასაჭრელ პეროგთან“.

ერთი კარგი სახალხო გამოსვლა მისწრებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, რესურსი ოცნებასაც აღარ აქვს.

რაც შეეხება გახარიას წასვლას და „ღარიბას ფაქტორს“, ვიტყვი რომ პროცესების საკმაოდ საგულისხმო მიმართულებით განვითარების მოლოდინი გაჩნდა.

ეს დღეები უბრალოდ ვკითხულობდი და ვისმენდი სხვადასხვა შეფასებას, რაც, ბუნებრივია, გარკვეული ემოციებით იყო გაჟღენთილი.

იყო გულისწყვეტა, აღფრთოვანება, ივანიშვილის „კვალი“ და თქვენ წარმოიდგინეთ რაღაც რევოლუციური სცენარის „სააშკარაოზე გამოტანაც“ კი ვნახე.

საოცარია, მაგრამ არ შემხვედრია იმ შედეგებზე საუბარი, რაც ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას მოჰყვება.

დიახ, სწორედაც მოსალოდნელ შედეგებზე, რადგანაც რეალური მიზეზები ჩემთვის უცნობია და არც ბანქოზე მკითხაობა ვიცი და ყავასაც მხოლოდ უნალექოს ვსვამ.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და დითირამბების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ ღარიბაშვილის პრემიერად წარდგენით „ოცნებამ“ სავსებით ზუსტი, პრაგმატული და პირველ რიგში ხალხის დადებით განწყობაზე გადადგმული ნაბიჯი გადადგა.

არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თავის გასაკეთებელ საქმეს ძალიან კარგად აკეთებს (ბუნებრივია, არის გარკვეული ხარვეზებიც, რომლებიც ძირითადად მეორე და მესამე რგოლის ჩინოვნიკების „მოღვაწეობით“ არის გამოწვეული, მაგრამ ამაზე სხვა დროს).

ქვეყნის უმთავრესი პრობლემა სწორედაც იმ პოლიტიკურ ველზე დგას, რაც შეიძლება ითქვას, რომ ამ ე.წ. ოპოზიციის მხრიდან ბორდერიზაციის რეჟიმში იმყოფება და რასაც ნაცპროპაგანდა აქტიურად უწყობს ხელს.

ის ვერსიები, პრემიერობის ახალი კანდიდატის შესახებ რაც სწორედ ე.წ. ოპოზიციის მხრიდან ვრცელდებოდა, მათი პოლიტიკურ რეალობას მოწყვეტილი აზროვნების ნაყოფი იყო.

ის პიროვნებები, რომლებსაც კანდიდატებად ასახელებდნენ თავიანთ სფეროში კარგი სპეციალისტები და ძლიერი ორგანიზატორები არიან, მაგრამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დღევანდელ ვითარებაში აერთიანებს პოლიტიკურ ფიგურას აღმასრულებელი პირის თვისებებით.

პოლიტიკურ ფიგურას, რომლის ხედვა უნდა ემთხვეოდეს მოსახლეობის უმრავლესობის ხედვას და პარალელურად ჰქონდეს ძლიერი მენეჯერის თვისებები.

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ღარიბაშვილის კანდიდატურა სავსებით ზუსტი სვლა იყო. მთავარია, თუ რა წინააღმდეგობა იქნება ე.წ. „ერთლარიანი დემოკრატიისგან“.

წერილს კი ერთი მოგონებით დავამთავრებ: — სტუდენტობის დროს ოკრიბის ერთ ლამაზ სოფელში ქორწილში ვიყავი დაპატიჟებული და ცეკვების დროს პატარძლის მხრიდან ერთი გოგონა გამოვიცეკვე. როგორც იმერეთში იტყვიან „მივუშვი ჭიპხახუნა“, ვარ ერთ ამბავში და უცებ მამაჩემის ბიძა მოვიდა, რამდენიმე ხანი გვიყურა და მითხრა — გია, ბაბუ, თუ არ დააწვინე, არაფერი გამოგივა, ვიცი მაგი საქმე მეო.

ჭკვიანი კაცი იყო მამაჩემის ბიძა. ცხოვრების მნახველი.

ასე რომ, ხელისუფლებამ თუ არ იმოქმედა, არაფერი გამოვა. არაფერი გამოვა, რადგან „მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — ღარიბა“! — დღეს უკვე აღარ გაჭრის.



გია გაბრიჭიძე

პირველი პირდაპირი ბლოკ-მატარებელი ჩინეთიდან

თბილისში ჩინეთის ქალაქ სიანიდან პირველი პირდაპირი ბლოკ-მატარებელი შემოვიდა. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, სარკინიგზო შემადგენლობა, რომლის ორგანიზატორობით „მაერსკ ჩინეთია“, მოემსახურა ერთ-ერთი მსხვილი ქართული იმპორტიორისთვის განკუთვნილ პრიორიტეტულ ტვირთს, რამაც აღნიშნულ კომპანიას მისცა სასაქონლო მარაგების ეფექტურად მართვის შესაძლებლობა და შეუმცირა მნიშვნელოვანი ღირებულების ტვირთის ტრანსპორტირების დრო.

სიანიდან თბილისამდე მგზავრობის დრომ მხოლოდ 21 დღე შეადგინა. ბლოკ-მატარებელი არის სარკინიგზო შემადგენლობა, რომელიც უწყვეტად, შეუფერხებლად ოპერირებს საწყის და დანიშნულების პუნქტებს შორის და ტვირთმფლობელებს თავიდან არიდებს საზღვრების კვეთასთან დაკავშირებულ თუ სხვა ბიუროკრატიულ სირთულეებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, საერთაშორისო სახმელეთო გადაზიდვების თანმდევია. „მაერსკ ჩინეთმა“ მიიღო ტვირთი ჩინეთში, უზრუნველყო ყველა საექსპორტო დოკუმენტის მოწესრიგება და მონიტორინგს უწევდა ტვირთს, საბოლოო ჩაბარებამდე.

ამასთან, „მაერსკი“ პარტნიორობს „ეიპიემ ტერმინალს ფოთთან“ (კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური), რათა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის პოტენციალი, შეასრულოს ევროპა-აზიის მაკავშირებელი კარიბჭის როლი, ეფექტურად იყოს ათვისებული აზიიდან შავი და ხმელთაშუა ზღვების და მათ მიმდებარე რეგიონების მიმართულებით წამოსული ტვირთებისთვის სწრაფი საზღვაო-სარკინიგზო მომსახურებების შეთავაზებით.

2020 წელს ადგილობრივი წარმოების ექსპორტი გაიზარდა

განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის კანდიდატმა ნათია თურნავამ საქართველოს პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, მეხილეობის დარგში ექსპორტის მაჩვენებელმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

„ამ დარგებს შორის არის მომპოვებელი ინდუსტრიის პროდუქცია, ეს არის სპილენძის მადნები და კონცენტრანტები და ძვირფასი ლითონები და კონცენტრანტები, მაგრამ ეს ის წელიწადია, როდესაც მხოლოდ ეს მომპოვებელი ინდუსტრიის პროდუქციის ექსპორტი არ გაიზარდა. ასევე გაიზარდა სოფლის მეურნეობის ექსპორტი და არა მარტო თხილი და სპირტიანი სასმელები, თუმცა თხილში გვაქვს 12%-იანი ზრდა და 3%-იანი ზრდა გვაქვს ღვინისა და ბრენდის ექსპორტის მიმართულებით, მაგრამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია მეხილეობის დარგში ექსპორტის მაჩვენებელმა, მათ შორის იმის გამო, რომ ჩვენ წლის განმავლობაში კარგად ვმართეთ პანდემია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სეზონი იყო ამ პროდუქციის მოყვანისა და მოსავლის აღებისას. ასევე, მოვახერხეთ ახალი ბაზრები მოგვეზიდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ტექსტილის ნაწარმი, რომელიც ასევე ჩვენი შიდა წარმოების სამკერვალო ნაწარმია, რომლის ექსპორტიც ასევე გაიზარდა. ჩვენ პანდემიის დროსაც არ გაგვიჩერებია სამკერვალო ინდუსტრია და მათ შეძლეს, რომ სხვა, გლობალური კონკურენტები უკან ჩამოიტოვეს და მათი კონტრაქტები ამ პერიოდში თვითონ აიღეს“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

აფხაზეთში მყოფი რუსი სამხედროები ქართული დრონების განადგურებაში ვარჯიშობენ

რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის გაერთიანების აფხაზეთში დისლოცირებულმა 500-მდე სამხედრომ და 150-მდე ერთეულმა სპეციალურმა სამხედრო ტექნიკამ მონაწილეობა მიიღო წვრთნაში, რომლის სცენარი „მტრის“ უპილოტო საფრენი აპარატების განადგურებას ითვალისწინებდა.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, წებელდის და ნაგვალოუს პოლიგონებზე ჩატარებული წვრთნები მოიცავდა უპილოტოების ზვერვასა და აღმოჩენას თანამედროვე კომპლექსების „ჟიტელისა“ და „კრასუხას“ გამოყენებით.

„რადიოსალოკაციო ქვედანაყოფების პირადმა შემადგენლობამ „მტრის“ მინიმალურ და საშუალო სიმაღლეზე მფრენი უპილოტო საფრენი აპარატები აღმოაჩინა და შესაბამისი მონაცემები რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექსებს გადასცა“, — იუწყება რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახური.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბრის ბოლოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება ე.წ. დრონების შეძენის განზრახვის შესახებ.

„2021 წელს ჩვენ შევიძენთ ოპერატიულ და ტაქტიკურ უპილოტო სადაზვერვო და საბრძოლო „დრონებს“. სამანევრო და საარტილერიო ქვედანაყოფებს აღვჭურვავთ თანამედროვე სადაზვერვო საფრენი აპარატებით, განვავითარებთ რადიოელექტრონულ და სადაზვერვო სათვალთვალო საშუალებებს“, — აღნიშნა მან.

ამასთანავე, ღარიბაშვილის ინფორმაციით, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ისრაელთან საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განახლებისა და მოდერნიზების თაობაზე.

მალევე ღარიბაშვილის განცხადებებს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. სოხუმში აღშფოთება გამოხატეს „საქართველოს სამხედრო პოტენციალის ზრდის“ გამო და განაცხადეს, რომ **„გეგმავენ, განმარტებები აშშ-ის წარმომადგენლებს მოსთხოვონ“.**

„აფხაზეთი საქართველოა, ჩვენ დავბრუნდებით“!

ფრაზა მარსზე დაშვებული NASA-ს როვერის ბორტკომპიუტერში

NASA-ს როვერის Perseverance („შეუპოვრობა“) ბორტკომპიუტერზე, პლანეტა მარსზე დაშვების დროს, უამრავი ადამიანის მაიდენტიფიცირებელ წარწერასთან ერთად იყო წარწერა „აფხაზეთი საქართველოა, ჩვენ დავბრუნდებით“!..

როგორც ბლოგერი გიორგი ჯახაია წერს, მას შემდეგ, რაც NASA-მ მარსზე გასამგზავრებელი ბილეთების შეძენის მსურველების რეგისტრაცია დაიწყო და გამოაცხადა, რომ მათ მონაცემებს Perseverance მარსზე წაიღებს, როვერზე საკუთარი მონაცემები გაგზავნა: სარეგისტრაციო ველში სახელის ადგილას გიორგი ჯახაიამ ჩაწერა ფრაზა Abkhazia is Georgia (აფხაზეთი საქართველოა), ხოლო შემდეგ ველში ჩაწერა: WE WILL COME COME BACK (ჩვენ დავბრუნდებით).

„ასე რომ, როვერის ბორტკომპიუტერზე, უამრავ მონაცემთან ერთად, ეს წარწერაც იყო, როცა ის მარსზე დაეშვა“, — წერს ჯახაია თავის ბლოგში.

აფხაზეთში კვლავ ენერგოკრიზისია!

მაინინგის აკრძალვის მიუხედავად, კრიპტოვალუტების მოპოვება ოკუპირებულ აფხაზეთში ენერგოკრიზისის მთავარ გამომწვევ მიზეზად მაინც რჩება. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ თებერვალში, რუსეთიდან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობიდან გამომდინარე, მოხმარება დღე-ღამეში 8,3 მლნ. კვტ. საათს არ უნდა აღემატებოდეს.

გასათვალისწინებელია, რომ ენგურჰესის ელექტროენერგიისგან განსხვავებით, რუსეთიდან მიღებული ენერგია უფასო არაა და ის საკმაოდ ძვირია. აფხაზეთი არც მის საფასურს იხდის — არაღიარებული ეკონომიკის მინისტრის კრისტინა ოზგანის თქმით, ამ დროისთვის აფხაზეთს 2020 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდის დავალიანება აქვს — 619 მლნ. რუბლი.

თუმცა, ჭარბი მოხმარება დაუძლეველ პრობლემად კვლავ რჩება. ბჟანიას თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზია ბოლო პერიოდში ამინდის მკვეთრი გაუარესება, თუმცა, ერთ-ერთი, მაგრამ არა მთავარი. ძირითადი მიზეზი კი ისევ იგივეა, რაც აქამდე იყო — კრიპტოვალუტების მაინინგი.

ბოლო დღეებში ბიტკოინმა მორიგი ფსიქოლოგიური ზღვარი 50 000 დოლარი გადალახა და ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც ილონ მასკმა განაცხადა, რომ 1,5 მლრდ. დოლარის კრიპტოვალუტის ყიდვას აპირებს.

ალბათ ნიშანდობლივი იყო, რომ ამ ახალი ამბის გავრცელების შემდეგ სოხუმის რამდენიმე რაიონში ელექტროენერგია ისევ გაითიშა.

თავად ენერგეტიკოსები აცხადებენ, რომ მოხმარება ნორმას მცირედით აჭარბებს და ელექტროენერგიის გათიშვები ბოლო დღეებში მხოლოდ ავარიებთანაა დაკავშირებული

„დღეისთვის დატვირთვა ენერგოსისტემაზე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე დეკემბერში იყო. კრიპტოფერმების დიდი ნაწილის გათიშვის შედეგად ენერგოსისტემაზე დატვირთვა მეტ-ნაკლებად ნორმალურ დონემდეა დაყვანილი. რა თქმა უნდა, მოხმარება ისეთი დაბალი არაა, როგორც საჭირო, თუმცა, იმ დონეზეა, რომ ჩვენ ამ მძიმე პერიოდს განსაკუთრებული სირთულეების გარეშე გავივლით“, — განაცხადა სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ პრესმდივანმა ალხას გაგულიამ. ფორმალურად აფხაზეთში კრიპტომაინინგს დაუნდობლად ებრძვიან. ფერმების მორიგ გამოვლენაზე ინფორმაცია ყოველდღიურად ქვეყნდება, მაგრამ არავისთვის საიდუმლო არაა, რომ აკრძალვები ყველას არ შეხებია, ამ ბიზნესში ბევრი მაღალჩინოსანია ჩართული.

ისინი მაინინგის წინააღმდეგ სიტყვიერ დონეზე ილაშქრებენ, თუმცა, პარალელურად ბიტკოინების მოპოვებას და ელექტროენერგიის ქურდობას კვლავ განაგრძოებენ.

პარალელურად, არაღიარებულ რესპუბლიკაში ენერგოსისტემა ისევ გრაფიკზე გადავიდა — ამჯერად უკვე ოფიციალურად. კერძოდ, „ჩერნომორენერგოს“ ინფორმაციით, ენერგოსისტემაზე ჭარბი დატვირთვის გამო, ოკუპირებულ აფხაზეთში ენერგომომარაგების შეზღუდვები ისევ ამოქმედდა.

ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთს „დიდ შვიდეულში“ არ მიიწვევს

ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთს „დიდ შვიდეულში“ არ მიიწვევს. ამის შესახებ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ განაცხადა.

ჯენ ფსაკის განმარტებით, რუსეთის G7-ის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე ნებისმიერი შესაძლო შეთავაზება ჯგუფის ყველა წევრთან პარტნიორობის ფარგლებში მოხდება.



„არ მგონია, რომ რუსეთს G7-ში გასაწევრიანებლად მოვიწვევთ. ცხადია, რომ მოწვევა მხოლოდ ჩვენს პარტნიორებთან ერთად უნდა გაკეთდეს“, — განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ჩანყოზები არგენტინაში...

არგენტინის ჯანდაცვის მინისტრმა ხინეს გონსალეს გარსიამ თანამდებობა დატოვა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ადამიანმა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რიგის გარეშე, გავლენიანი კავშირების გამოყენებით გაიკეთა.

ხინეს გონსალეს გარსია აღნიშნავს, რომ გარკვეულმა პირებმა ვაქცინაციისთვის აუცილებელი პროცედურის გვერდის ავლა შეძლეს. ამის მიზეზად უკვე ყოფილი მინისტრი ოფისში მისი არყოფნის დროს შექმნილ „უნებლიე არეულობას“ ასახელებს.

არგენტინის პრეზიდენტმა ალბერტო ფერნანდესმა ჯანდაცვის მინისტრს გადადგომა მას შემდეგ სთხოვა, რაც მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სულ მცირე ათმა ადამიანმა კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრა რიგისა და შესაბამისი პროცედურის გავლის გარეშე ჩაიტარა. მათ შორის ერთ-ერთმა ცნობილმა ვეტერანმა ჟურნალისტმა ორასიო ვერბიტსკიმ, რომელიც აცხადებს, რომ ვაქცინაცია მას შემდეგ ჩაუტარდა, რაც ის პირადად მინისტრს ესაუბრა.



არგენტინაში რუსული წარმოების ვაქცინით Sputnik V-ით იმუნიზაცია დეკემბერში დაიწყო.

მიმდინარე თვის დასაწყისში ანალოგიური სკანდალი პერუშიც აგორდა, სადაც ცნობილი გახდა, რომ ასობით პერუელმა მაღალჩინოსანმა ვაქცინის დოზები ქვეყანაში იმუნიზაციის პროგრამის დაწყებამდე მიიღო. ამის გამო თანამდებობები დატოვეს ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

რაც ჩვენია, ნუ დავკარგავთ!!!

პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა და ერბო ფშავისა...
ხალხური ნათქვამი.

ქართველ მეპურეთა ჰამქრის შეკრება. ცენტრში სოფრომ ვარაზი. 1865 წ.

არამატერიალური კულტურის ძეგლებს რომ ისეთივე დაცვა, პატივისცემა და პოპულარობა სჭირდება, როგორც მატერიალურს, ეს არახალია და ყველამ კარგად იცის. ამ მხრივ ქართველები განებივრებულნი ვართ და გვეამაყება კიდეც, რომ მსოფლიოში აღიარებულია ქართული არამატერიალური კულტურის ძეგლები – ჩვენი ხალხური მრავალხმიანობა და კოსმოსში გაშვებული „ჩაკრულო“, ქართული ქვევრის ღვინო, უძველესი ენდემური ჯიშის ქართული ხორბალი, ქართული თაფლი, ყველი და მრავალი სხვა.

გულსატკენი და დასაგმობია ისიც, რომ უამრავი გიდი, რომელიც საქართველოში ჩამოსულ მილიონობით ტურისტს არაკომპეტენტური და გადაუმოწმებელი ფაქტებით „მუხტავს“ და ის, რაც ქართულია და ქართული კულტურის ნაწილი, ათასობით წელგამოვლილი და ქართველი კაცის, ჩვენი წინაპრების მიერ რუდუნებით დღემდე მოტანილი, უცხოურად ნათლავს და სინამდვილეს ამახინჯებს. ისიც ყურადსაღებია, რომ ამ გიდთა თუ ტურისტგანმანათლებლების უმეტესობა არაქართველია და არც საქართველოს მოქალაქეები ბრძანდებიან. ხშირად მომისმენია, როგორ უხსნიან ტურისტებს, რომ ჩვენი ათასხუთასწლოვანი დედაქალაქი თურმე სომხების აშენებული ყოფილა (შესაბამისად უხსნიან, რომ თბილისი არაბული ქალაქია, ან სპარსული – ეს გიდის ერუდიციისა და მათი ინტერესების მიხედვით ხდება):

ამას წინათ პროგრამა „არტარეაზე“ ტელეკომპანიის წამყვანი ქართული ტრადიციული კვების პროდუქტებზე საუბრობდა და მე, როგორც ამ დარგის ერთ-ერთი ექსპერტი, აღშფოთებული დავრჩი იმით, რომ წამყვანი გვამუნათებდა, თითქოს საქართველოში უმთავრესი პროდუქტი თურმე ღვინო და ყველი ყოფილა (აქ აშკარად ევროპული, კერძოდ, ფრანგული გავლენა იგრძნობოდა, სადაც ერთ-ერთი ძირითადი, ასე ვთქვათ, მისაყოლებელი ღვინოზე ყველი ითვლება და აქვთ კიდეც ამგვარი გამოთქმა „სადილი ყველის გარეშე იგივეა, რაც ვარდი სურნელის გარეშეო“).

რატომღაც ავიწყდებათ, რომ საქართველოში ოდითგანვე ცნობილი იყო „პური და ღვინო“, ჯერ კიდევ ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, რაც ქრისტიანულ ზიარებაში ერთ-ერთი მთავარი ფენომენია. არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს და მსოფლიომაც აღიარა, რომ ქართული ღვინო ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და საქართველო ღვინის სამშობლოდ ითვლება, ასევე ხორბლის მხრივაც, რომლის გავრცელებული სახეობებიდან უმეტესობა ქართულია და ენდემური ჯიშებია.

სოფრომ ვარაზი 1865 წ

მიტროფანე ლაღიძე.

პურის ცხობის კულტურა უხსოვარი დროიდან მოდის საქართველოში. ამაზე ქართული პურის ისეთი სახეობებიც მეტყველებს, როგორიცაა „დედას პური“, „შოთი“, „მესხური პური“. ამაზე არა მარტო ზემოთ ხსენებული არქეოლოგიური არტეფაქტები მეტყველებს (უძველესი საცხობები, იარაღები, თონეები, წისქვილები), არამედ შუა საუკუნეებში საქართველოში ჩამოსული უამრავი მოგზაურის ჩანაწერებიც.

თბილისში არსებობს პურის მუზეუმი თავისი საუცხოო დარბაზითა და რესტორნით, დამკვიდრებულია „პურის ზეიმი“, ისე როგორც ევროპულ ქალაქებში (რომი, პარიზი, ბრიუსელი, ბრიუგე), თბილისშიც არის პურის მოედანი, სადაც ოდითგანვე განლაგებული იყო პურის საცხობები. ერთ-ერთი ამგვარი საცხობი იყო ჯვრის მამის ეკლესიის მიმდებარედ. ამ საცხობს იმდენად ჰ ქონდა სახელი განთქმული, რომ აქ გამომცხვარ პურს „ჯვრის მამის ლავაშს“ უწოდებდნენ.

უფრო მეტიც, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან არსებობდა მეპურეთა გაერთიანება, ე. წ. ჰამქარი, თავისი დროშით, ხელმძღვანელითა და წესდებით. მათი წინამძღოლი გახლდათ გამორჩეული პიროვნება სოფრომ ვარაზი. იგი წარმოშობით რაჭველი გახლდათ და მისი შვილი იყო ცნობილი პროფესორი, ტროპიკულ დაავადებათა კვლევისთვის 1936 წელს ნობელის პრემიაზე წარდგენილი ვასილ ვარაზი, ხოლო შვილიშვილი – ცნობილი მხატვარი ავთო ვარაზი.

ადოლფ ხურაძე.

შოთა ჭანუყვაძე.

სინამდვილეს არ შეეფერება ის ფაქტიც, თითქოს საქართველოში პურის წარმოება აქ ჩამოსახლებულმა გერმანელებმა დაიწყეს. მოგეხსენებათ, საქართველოში რუსული სამხედრო ნაწილები იდგა ლაგოდეხში, თბილისში, მანგლისში, კოჯორში, ქუთაისში, ბათუმში და სწორედ აქ რუსული აგურის ღუმელებში დაიწყეს საქარხნო პურის წარმოება. გასული საუკუნის ოციან წლებში, თბილისში, ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე არსებობდა პირველი მექანიზებული საქარხნო პურის ქარხანა, ხოლო 1930 წელს დიდუბეში აიგო წისქვილკომბინატიც.

დაუვიწყარია ისეთი ადამიანების ღვაწლი ამ დარგის პიონერებისა, რომლებიც მართლაც ვირტუოზებად ითვლებოდნენ და პურპროდუქტების წარმოების საქმეში ისეთივე წვლილი მიუძღვით, როგორც დიდ სარაჯიშვილს – კონიაკის წარმოებაში, მიტროფანე ლაღიძესა და ზანდუკელს – ლიმონათისა და ტკბილი წყლების და გოგი თოფაძეს – ლუდის წარმოებაში. ქართული პურპროდუქტების საინჟინრო სკოლის დამფუძნებლად ითვლება შესანიშნავი პიროვნება, დიდი პროფესიონალი, საქართველოს მაშინდელი კვების მრეწველობის მინისტრი ადოლფ ხუროძე, რომელსაც სულ ახლახან დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით,კვების მრეწველობამ მიიღო საფუძვლიანი ინჟინრული პოტენციალი ჩაის ფაბრიკების, საფუარის ქარხნის, შაქრის ქარხნების (აგარა), საკონდიტრო ქარხნის (ქუთაისი), ღვინის ქარხნების (კახეთის რეგიონი) მშენებლობასა და წარმოებაში გაშვებისთვის. მისი შრომა და ღვაწლი ფასდაუდებელია. არ შეიძლება, არ გავიხსენოთ პურპროდუქტების მაშინდელი მინისტრის (შემდგომში საქართველოს ცკ-ის მდივნის), ბატონი შოთა ჭანუყვაძის ღვაწლი. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ელევატორებისა და წისქვილკომბინატების მშენებლობას.

ასეთი ადამიანების ღვაწლის შედეგია იმ ტრადიციების აღორძინება და წარმატება, რომელსაც უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხის ძირითად მატერიალურ კულტურას წარმოადგენდა. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა არაფრად ჩამოუვარდება უცხოურ ანალოგებს. ყველა ჩვენგანის ვალია, რომ შევინარჩუნოთ და პოპულარიზაცია მოვახდინოთ იმ კულტურებისა, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს და ჩვენი ქვეყნის წიაღში ჩაისახნენ – ქართული ღვინო, ქართული პური, ქართული ყველი, ქართული თაფლი...

ნუ დავკარგავთ ისტორიას.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს პურის მრეწველთა
კავშირის თავმჯდომარე,
კვების მრეწველობის ექსპერტი.

◎ ძიუდო

რვა მედალი ისრაელიდან

თელ-ავივში დამთავრდა ძიუდოისტთა გრანდ სლემი, რომელშიც ქართველმა მოჭიდავეებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა ბექაური (90 კგ) და გელა ზაალიშვილი (+100 კგ.). მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა თემურ ნოზაძე (60 კგ), ხოლო გურამ თუშიშვილმა (+100 კგ), ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ), ილია სულამანიძემ (100 კგ), ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ) და ქალთა შორის ეთერ ლიპარტელიანმა (57 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა ფრანგების შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავა, ვაჟებში კი საუკეთესო იყო.

მძიმე წონაში (+100 კგ) გელა ზაალიშვილმა და გურამ თუშიშვილმა მოსინჯეს ძალები და ორივე კვარცხლბეკზე ავიდა. ზაალიშვილმა უნგრელი რიჩარდ სიპოში დაამარცხა, შემდეგ – მასპინძელი სერაფიმ კომპანიეში და ნიდერლანდელი როი მეიერი, ნახევარფინალში თანაგუნდელ გურამ თუშიშვილს მოუგო და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ტამერლან ბაშაევი (რუსეთი) დაჯაბნა – იპონით სძლია. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თუშიშვილმა, რომელმაც ნახევარფინალამდე სლოვენი ვიტო ფრაგიჩი და უნგრელი თემურ რახიმოვი ჩამოიშორა გზიდან, დამამშვიდებელში კი ბელარუსი ალიაქსანდრ ვახავიაკი დაამარცხა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც ქართველებმა „ოქრო“ და „ბრინჯაო“ მოინაგრეს. ლაშა ბექაურმა ჯერ მასპინძელ ბენ ტენენბაუმს მოუგო, მერე – გერმანელ ტიმ შმიდტს, იტალიელ ნიკოლას მუნგაის, სლოვაკ მილან რანდლს, ხოლო ფინალში ესპანეთის სახელით მოასპარეზე ქართველი ნიკოლოზ შერაზადიშვილი დაამარცხა ვაზარით. ბექა ღვინიაშვილმა ყირგიზი ერლან შეროვი და ბრიტანელი მაქს სტიუარტი ჩამოიშორა გზიდან, ბახევარფინალში თავად წააგო სლოვაკ მილან რანდლთან, დამამშვიდებელში კი იტალიელი ნიკოლას მუნგაი და აზერბაიჯანელი მამადლი მეჰდიევი დაამარცხა, რამაც ბრინჯაოს მედალი მოუტანა. 100 კილოში ონისე სანებლიძე და ილია სულამანიძე ბრინჯაოს მედლისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თანაგუნდელების შეხვედრა სულამანიძის გამარჯვებით დამთავრდა. 73 კილოში მსგავს წარმატებას მიაღწია ნუგზარ ტატალაშვილმა, რომელმაც მესამე ადგილისთვის გადამწყვეტი პაექრობა შვედ ტომი მასიასს მოუგო.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში თემურ ნოზაძემ ბრაზილიელ ფელიპე პელიმის, თურქ მიჰრაკ მაკუსს, ბრიტანელ ეშლი მაკენზის და უკრაინელ არტემ ლესიუკს სძლია,

მაგრამ ფინალში აზერბაიჯანელ დაუდ მამადსოისთან ვერაფერს გახდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ქალთა 57 კილოში თავი გამოიჩინა ეთერ ლიპარტელიანმა. პირველ წრეში მან რუს დიანა ჟიგაროსს აჯობა, მერე მის კვალს გაუყენა პოლონელი ანა კუშერა და უნგრელი ჰედვიგ კარაკასი, ნახევარფინალი მასპინძელ ტიმნა ნელსონ ლევისთან წააგო, დამამშვიდებელში პოლონელი იულია კოვალჩიკი დაამარცხა და პირველი ქართველი ძიუდოისტი ქალი გახდა, რომელმაც გრანდ სლემზე მედალი მოიპოვა.

ლაშა დიდია

◎ წყალხტომა

ორი მესამე ადგილით

კიევში გამართულ წყალმხტომელთა ტრადიციულ მე-11 საერთაშორისო ტურნირში ბელარუსის, სომხეთის, სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოსა და უკრაინის 9 რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ. ქართველთაგან ჭოლა ჭანტურიამ, თორნიკე ონიკაშვილმა და სანდრო მელიქიძემ (მთავარი მწვრთნელი – სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი ბართაია) იასპარეზეს.

ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 27 ვაჟი ცდიდა ძალებს. თორნიკე ონიკაშვილმა 329.30 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, თანაც პირადი რეკორდი 21 ქულით გაიუმჯობესა. პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ ილია ტრუშინი (უკრაინა, 384.35) და დანილო კონოვალოვი (უკრაინა, 382.05). სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ონიკაშვილმა და სანდრო მელიქიძემ 322.83 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს. „ოქრო-ვერცხლი“ აქაც მასპინძლებს – ევგენი გორშკოვოზოვსა და ოლეგ კოლოდის (უკრაინა, 383,61), დანილო კონოვალოვსა და ოლეგ ჩიჟოვს (368.25) ერგოთ.



– ონიკაშვილმა შესანიშნავად იასპარეზა, – გვითხრა ირაკლი ბართაიამ. **– მან პირველად შეასრულა ახალი ხტომა წინა დგომიდან ორნახევარი მალაყით უკან და ფინალში 61 ქულა დაიმსახურა. ეს შეჯიბრება სალიცენზიო მსოფლიოს თასისთვის (18-23 აპრილს ტოკიოში) მზადების ეტაპს წარმოადგენდა. პანდემიის გამო ქართველ წყალმხტომელებს 2020 წლის 16 მარტიდან წყალზე ექვსი თვე არ უვარჯიშიათ. კიდევ კარგი, რომ ფედერაციამ შეძლო ჩვენთვის 23 თებერვლიდან სამკვირიანი შეკრება მოეწყო კიევში. კოვიდმა ხელი თუ არ შეგვიშალა, 28 მარტს ბუდაპეშტში საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრებით.**

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

საერთაშორისო შეკრება „მეტეხი პალასში“

„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის (პრეზიდენტი მერაბ ბაზაძე) ორგანიზებით 10 დღეს გრძელდებოდა მოხმალავეთა საერთაშორისო ერთობლივი საწვრთნელი შეკრება INTERNATIONAL FENCING CAMP TBIL6SI 2021, რომელშიც საქართველოს, საფრანგეთის, უკრაინის, ბელარუსის, თურქეთის, ბულგარეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის საუკეთესო მოფარიკავე ქალები და ვაჟები მონაწილეობდნენ. შეკრების დამთავრების შემდეგ სასტუმროს დიდ დარბაზშივე ინდივიდუალური და გუნდური შეჯიბრებები გაიმართა.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით გამოირჩია ევროპის ოთხგზის პრიზიორი **სანდრო ბაზაძე,** რომელსაც ტოკიოს ოლიმპიადაზე გამგზავრება, ფაქტობრივად, დაბეებული აქვს. პლეი-ოფში მან ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში ფრანგ ნიკოლას რუსეს აჯობა – 15:11 და პირველი ადგილი დაიკავა. თურქ მოხმალავესთან ერთად მესამე ადგილზე გავიდა ვაჟა რეჭია, რომელიც ნახევარფინალში ფრანგ მეტოქესთან დამარცხდა. გუნდურში პირველი იყო საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც ფინალურ პაექრობაში უკრაინა დაჯაბნა, მესამე ადგილზე საქართველოს მეორე ნაკრები გავიდა.

ქალთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში უკრაინელმა ალინა კომაშჩუკმა გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში თანაგუნდელ ოლენა კრავაცკას მოუგო. მესამე ადგილები ალგერიმ სერიბეის (ყაზახეთი) და ზეინაბ დეიბეკოვას (უზბეკეთი) ერგოთ. გუნდურშიც ტოლი არ ჰყავდათ უკრაინელ მოხმალავეებს. მათ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ბელარუსებს აჯობეს. ბულგარეთის ნაკრები მესამე ადგილს დასჯერდა.

ლექსო ციწაძე

◎ აწმყო

წითელი პარასკევი

უპირველესად, წერილის სათაურის შესახებ: რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში აღნიშნულ ორ სიტყვას მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა აქვს, სინამდვილეში კი, ფიგურალურად, ქართველ სპორტსმენთა იმ დაღვრილ სისხლს გულისხმობს, რომელიც ბალკანელთა სინდისზეა.

დიახ, 19 თებერვალი, რომელიც „ჯვაროსანთა“ მორიგი წარმატებებისა და, აქედან გამომდინარე, მათ ქომაგთა კიდევ ერთ დღესასწაულად უნდა ქცეულიყო, რეალურად დიდი იმედგაცრუების თარიღად მოგვევლინა. რომ ვთქვათ, ეს მოულოდნელობა იყოო, არ ვიქნებით მართალნი, რადგან სამი თვის წინათ მაკედონიელებმაც მოგვაყენეს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა, როცა ევროპული საფეხბურთო ფორუმისკენ გადაგვიღობეს გზა. ასე რომ, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ: ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა პრინციპულ დავაში უპირატესობას მეტოქე ფლობს. ბუნებრივია, ცალკეული გამონათეებები საერთო სურათს ვერ ცვლის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რეალურ ძალთა გათვალისწინებით ისინიც დასაფასებელია.

მართლაც, უმადური უნდა იყო კაცი, ვერ დაინახო, დავითისა და გოლიათის უთანასწორო ბრძოლაში როგორ ცდილობენ ჩვენი თანამემამულენი ფავორიტ მოწინააღმდეგეებთან ღირსეულად გამკლავებას და ხანდახან წარმატებასაც აღწევენ, თუმცა, არსებითად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძალა აღმართს ხნავს.

კალათბურთი. საქართველო - სერბეთი 66:92.

მე თუ მკითხავთ, ისიც გმირობის ტოლფასი იყო, რომ მომავალი ევრობასკეტის საკვალიფიკაციო რაუნდის თბილისურ მატჩამდე მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთ გრანდთან დადებითი ბალანსი გვქონდა – 3:2 და მას პირველი წრის შეხვედრა ბელგრადში მოვუგეთ – 91:85.

თუ ვინმე იტყვის, რომ ამჯერად შენგელია, ბითაძე, ცინცაძე, მამუკელაშვილი და ანდრონიკაშვილი გვაკლდნენ, მაშინ ისიც სათქმელია, რომ მთელი რიგი ვარსკვლავები სტუმრებსაც ვერ ეხმარებოდნენ, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენთან შედარებით, სერბებს გაცილებით წონადი რესურსი გააჩნიათ და ევროლიგაში მოასპარეზე მათი ლეგიონერი ტალანტები – მიციჩი და ბუდურიჩი, თუ მათი თანაგუნდელები „ჯვაროსნებთან“ წააგებდნენ, მზად იყვნენ შვეიცარიასთან გადამწყვეტი ჯახისთვის ჩამოფრენილიყვნენ და პარტნიორებს შეერთებოდნენ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც არანაკლებ გასათვალისწინებელია, მოტივაცია გახლავთ. მართლაც, დამარცხების შემთხვევაში ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვება სათუო ხდებოდა და, გარკვეულად, ეს სტუმართა ბოლო შანსი იყო, ევრობასკეტი სერბეთის გარეშე კი, დაგვეთანხმებით, ძნელად წარმოსადგენია.

რაც შეეხება მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა „ჯვაროსანთა“ ნატურალიზებულმა დებიუტანტმა ფრენკამპმა, რომელმაც 10 ქულით აღნიშნა საბრძოლო ნათლობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში მან ფეხი იღრძო, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, თანაც – საფინალო სასტვენამდე და ამით ისედაც მყიფე ინტრიგა საბოლოოდ დასამარდა.

ამავე პერიოდს დაემთხვა ბალკანელთა სნაიპერების გაღვიძება, რომლებმაც პერიმეტრიდან სამქულიანებით დაგვიბომბეს კალათი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 20 წლის „ახალი დრაჟენ პეტროვიჩის“ ფილიპ პეტრუშევის დადგმული სპექტაკლი, რომლის სახითაც მსოფლიო კალათბურთს „ევროპელი ჯორდანი“ ეზრდება.

წყალბურთი. საქართველო - ხორვატეთი 6:15

ამჯერადაც აქტუალურად ჟღერდა კითხვა – ტოკიოს ოლიმპიადა 2012 წლის თამაშების გამარჯვებულისა და, საერთოდ, ყველა უმაღლესი საწყალბურთო ტიტულის მფლობელის ხორვატეთის გარეშე? ნებსით თუ უნებლიედ, აღნიშნული დილემის წარმოშობას თვით ბალკანელებმა შეუწყვეს ხელი, როცა ჯგუფურ ეტაპზე რუსებთან დასკვნით პერიოდში 4-ბურთიანი უპირატესობა გაანიავეს და იმდენი მოახერხეს, რომ აუზი შერცხვენილებმა დატოვეს, რითაც ძირფესვიანად არიეს სატურნირო მონასტერი და ყველაზე უფრო ჩვენ დაგვაზარალეს. სწორედ ამით აიხსნება ლონჩარისა და კამპანიის არნახული აგრესია – სასწორზე მათი ავტორიტეტი დაიდო!

თუ ობიექტურნი ვიქნებით, დეიან სტანოევიჩის შეგირდთა იაპონურ ზღურბლამდე – შესარჩევის მეოთხედფინალამდე მისვლაც კი უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს და ამისათვის ბიჭები მადლიერებას იმსახურებენ.

რაც მთავარია, მათ საკუთარი ძალების რწმენა გაუჩნდათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას შემდეგ, რაც ვეტერანი მოწვეული ლეგიონერების კარიერის დასრულება თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს ნაკლები პრობლემებით გადაატანინებთ, არც მომავალი გამარჯვებები დაახანებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ულვინოდ და უთხილოდ საქართველოს აგროექსპორტი სომხეთის ნახევარი იქნებოდა!!!

ბოლო 5 წელიწადში აზერბაიჯანში ბოსტნეულის წარმოება 35%-ით 1.716 მლნ ტონამდე გაიზარდა, სომხეთში 44%-ით 547 ათას ტონამდე შემცირდა, საქართველოში კი 6%-იანი ზრდის შემდეგ 161 ათას ტონას მიაღწია. ინფორმაციას FAO-ზე დაყრდნობით ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია ავრცელებს.

2018 წელს საქართველომ ექსპორტზე $760 მლნ-ის ღირებულების აგროპროდუქცია გაიტანა, სომხეთმა – 4$650 მლნ-ის. მიწის ფართობის პროპორციის მიხედვით საქართველოსი ბევრად ნაკლები გამოდის, მაგრამ არა 3.4-ჯერ. აზერბაიჯანის აგროექსპორტი 2012-2016 წლებში 700-დან 500 მლნ-მდე შემცირდა, 2018 წელს ისევ გადასცდა $600 მლნ-ს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან აზერბაიჯანის ჯამური ექსპორტი ყველაზე მაღალია და საქართველოს მაჩვენებელს თითქმის 5-ჯერ აღემატება, მაგრამ მისი 75%-ზე მეტი ნავთობზე და გაზზე მოდის.

აგროექსპორტში საქართველო უპირატესობას მევენახეობის მიმართულებით ინარჩუნებს. 2018 წელს $197 მლნ-ის ღვინო და $129 მლნ-ის სპირტიანი სასმელები გაიყიდა. ჯამური აგროექსპორტის 43%-ზე მეტი. თუ მას $70 მლნ-ის თხილსაც დავუმატებთ, უკვე 50%-ს სცდება. მათ გარეშე მეზობელ სახელმწიფოებთან ჩამორჩენა უფრო მეტი იქნებოდა. ბოლო წლებში ძირითადად სწორედ ამ პროდუქტების წარმოება იზრდებოდა. ფარულანას გამო 2017-2019 წლებში თხილის ექსპორტი მართალია თითქმის 3-ჯერ შემცირდა, მაგრამ 2020 წელს 42%-ით გაიზარდა. ექსპორტის საერთო 13%-იანი კლების ფონზე ღვინის რეალიზაცია მხოლოდ 5.9%-ით შემცირდა, სპირტიანი სასმელების კი 4%-ით გაიზარდა.

აზერბაიჯანში ბოსტნეულთან ერთად აგრეთვე განვითარებულია მეცხოველეობა. თუ 2018 წელს საქართველომ სულ 73 ათასი ტონა ხორცი აწარმოა, აზერბაიჯანმა 3.6-ჯერ მეტი 265 ათასი ტონა. თითქმის იმდენივე იყო სხვაობა რძის წარმოებაშიც 562 მლნ ლიტრი საქართველოში და 2 მლრდ ლიტრი აზერბაიჯანში. 2.5-ჯერ მეტია კვერცხის წარმოებაც. მარცვლეული კულტურიდან, ხორბლის წარმოება თითქმის 7-ჯერ მეტი.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება აზერბაიჯანში უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში, მაგრამ ეს ექსპორტზე ნაკლებად აისახება, თუმცა იმპორტის საჭიროებას ამცირებს. საქართველოში კი ბოსტნეულზე და კვების სხვა პროდუქტებზეც იმპორტდამოკიდებულება კვლავ მაღალია.

საქართველოსა და აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობის წილი მთელს ეკონომიკაში 5%-ს, სომხეთში კი 10%-საც აღემატება. დასაქმებულთა რაოდენობა კი სამუშაო ძალის 30-35 პროცენტს აჭარბებს, რაც არაჯანსაღ გარემოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. პირობითად, თუ 100 ადამიანი 1 მლნ დოლარის პროდუქტს ქმნის, საქართველოს შემთხვევაში 65 ათასი დოლარის პროდუქციის შექმნაზე 41 ადამიანი მუშაობს, ანუ თუ 1 ადამიანის საშუალო პროდუქტიულობა $10 000-ს შეადგენს, აგროსექტორში ის $1600-ზე ნაკლებია. რიცხვები მცირედით განსხვავდება, მაგრამ ტენდენცია იგივეა სომხეთსა და აზერბაიჯანში.

საქართველოში ფერმერად ითვლება ადამიანი, ვისაც 1.15 ჰა მიწის ფართობი გააჩნია, სომხეთში ზღვარი 1.5 ჰა-ა. აზერბაიჯანში 5 ჰა. რეალურად სამივე ცოტაა, ძირითადად მესაკუთრის ოჯახის სარჩენ საშუალებას წარმოადგენს და არა ბიზნესს, ხშირ შემთხვევაში მიღებული თანხა არასაკმარისიცაა. 1.15 ჰა მიწაზე შესაძლოა მოვიდეს 15 ტონა რქაწითელი. სუბსიდირების გათვალისწინებითაც კი შემოსავალი 10-12 ათას ლარს არ აღემატება. ხარჯების გამოკლების შემდეგ საუკეთესო შემთხვევაში მოგება 7-8 ათასი ლარია, ანუ თვეში 600-700 ლარზე ნაკლები. 5 ჰექტარის შემთხვევაში მართალია წლიური შემოსავალი 43-52 ათას ლარამდე იზრდება, მოგება შესაბამისად 30-35 ათას ლარამდე, მაგრამ მოსავლიანობის გაზრდისთვის საჭირო ინვესტიციების განსახორციელებლად ეს თანხაც არასაკმარისია.

ხსოვნა

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი მერი ცომაიას მეუღლის

ზაურ ჭედიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახსა და ახლობლებს.

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ გურამ ჯანიაშვილს მეუღლის

ლილი ალექსანდრეს ასული ჯანიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

გლდანის რაიონის გამგეობა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს განაგრძობს. ამჯერად გზის კაპიტალური მოწესრიგება კონსტანტინე ლესელიძის ქუჩაზე დაიწყო, სადაც, ძველი ასფალტი იხსნება. სამუშაოების შედეგად, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი და 10 000 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე ასფალტის საფარი დაიგება. ასევე, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, ბორდიურები და LED განათებები დამონტაჟდება.

პროექტისთვის, რომელსაც გლდანის რაიონის გამგეობის დაკვეთით, ტენდერში გამარჯვებული შპს „დინ გრუპი“ ასრულებს, 827 508 ლარია გათვალისწინებული.

◎ პანდემია და კიბო...

რა დაავადებაში შეიძლება, აგვერიოს COVID-19?



ხველა, სუნთქვის გაძნელება და დაღლილობა დღეს ექიმებისა თუ მათი პაციენტებისთვის, პირველ რიგში, კორონავირუსულ ინფექციას უკავშირდება. თუმცა ეს სიმპტომები შეიძლება სხვა დაავადებების შემთხვევაშიც გამოვლინდეს. სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება ფილტვის კიბო. ქმნის თუ არა ასეთი დაბნეულობა მკურნალობის პროცესში პრობლემებს? რა რეკომენდაციებს გასცემენ საერთაშორისო ორგანიზაციები პანდემიის პერიოდში დიაგნოსტირების დროს?

ფილტვის კიბოსა და ახალი კორონავირუსის სიმპტომები ერთმანეთს ძალიან ჰგავს?

ამ ორი დაავადების ძირითადი საერთო სიმპტომებია ხველა, ქოშინი და დაღლილობა. თუმცა COVID-19-ის შემთხვევაში ეს გამოვლინებები სწრაფად ჩნდება და დროთა განმავლობაში ქრება, ფილტვის კიბოთი დაავადებულებს კი აღნიშნული სიმპტომები დიდხანს უნარჩუნდებათ. მაგალითად, დაღლილობა შეიძლება თვეზე მეტხანს გაგრძელდეს.

ამ ორი მდგომარეობის დიფერენცირებისთვის, სპეციალისტები საუბრობენ სხვა „წითელ დროშებზე“, რომლებიც კონკრეტული დაავადებისათვის არის დამახასიათებელი. ფილტვის კიბოსთვის ეს არის სისხლიანი ნახველი, გულმკერდის არეში ტკივილი, წონაში კლება ან უმადობა. COVID-19-ის შემთხვევაში ასეთი სიმპტომებია სიცხე, კუნთების ტკივილი, სუნისა და გემოს დაკარგვა. გარდა ამისა, სპეციალისტები ყურადღებას აქცევენ რისკფაქტორებსაც. ეს არის ასაკი, მწეველობის სტაჟი, ორგანიზმზე აზბესტის შესაძლო ზემოქმედება ან ახლო კონტაქტი პირთან, რომელსაც ახალი კორონავირუსი დაუდასტურდა ან ჯერ კიდევ თვითიზოლაციაში იმყოფება.

თუ ყველაფერი COVID-ზე მიუთითებს, პაციენტს ამ დაავადების შესახებ მომზადებული უახლესი რეკომენდაციების შესაბამისად მკურნალობენ. თუ ფილტვის კიბოს ალბათობა მაღალია, პირველ რიგში, PCR ტესტი კეთდება. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში პაციენტს დამატებითი კვლევები (ფილტვების კომპიუტერული ტომოგრაფია ან რენტგენი) და ონკოლოგთან ვიზიტი ენიშნება. თუ პირს COVID-19 დაუდასტურდა, ჯერ კორონავრუსზე მკურნალობენ, შემდეგ კი ფილტვის კიბოს შესაძლო დიაგნოსტირებას განიხილავენ.

არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს რაიმე განსაკუთრებული „წითელი დროშა“ არ აქვს და მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები შეიძლება ნიშნავდეს როგორც კორონავირუსულ ინფექციას, ასევე – ფილტვის კიბოს. ასეთ დროს რეკომენდებულია PCR ტესტის გაკეთება. თუ პასუხი დადებითია, COVID-19-ზე მკურნალობენ, თუ უარყოფითი – პირს ჯერ 14-დღიან თვითიზოლაციაში უშვებენ, შემდეგ კი გამოვლენილ სიმპტომებს აანალიზებენ. თუ საეჭვო გამოვლინებები გახანგრძლივდა, მაშინ ფილტვის კიბოს გამოსავლენად ან პირიქით, მის გამოსარიცხად დამატებითი კვლევები იქნება საჭირო.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ფილტვის კიბო თავიდან, როგორც წესი, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ამიტომაც მაღალი რისკჯგუფების წარმომადგენლებისთვის არსებობს სკრინინგი – გულმკერდის ორგანოების დაბალდოზიანი კომპიუტერული ტომოგრაფია. ეს საშუალებას იძლევა, რომ ადამიანმა დაავადება ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს და მკურნალობა რაც შეიძლება მალე დაიწყოს. თუმცა ეს კვლევა აბსოლუტურად ყველას არ სჭირდება. სკრინინგი ტარდება 55-დან 80 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ სიგარეტს 15 წლის განმავლობაში, აგრეთვე მათთვის, ვინც წელიწადში 30 კოლოფზე მეტს ეწევა. ფილტვის კიბო შეიძლება აღმოაჩნდეთ იმ ადამიანებსაც, რომელთაც არასდროს მოუწევიათ (მაგალითად, იყვნენ პასიური მწეველები). თუმცა ეს ბევრად უფრო იშვიათად ხდება, ამიტომაც სკრინინგი მათ არ უტარდებათ.

კიდევ რა?

სპეციალისტების განმარტებით, ბოლო 9 თვის განმავლობაში ნებისმიერი დაავადება, რომელსაც სუნთქვის პრობლემები ან სიცხე ახლავს, ექიმებმა კორონავირუსულ ინფექციად აღიქვეს. ამიტომაც პრაქტიკაში ხშირია პნევმოთორაქსი, აქტიური ტუბერკულოზი და გულის ქრონიკულ უკმარისობა, რომლებიც COVID-19- ის ნიღაბს არის ამოფარებული. ასეთ შემთხვევებში სამედიცინო ვიზუალიზაციის მეთოდები ხელს უწყობს სწრაფ და სწორ დიაგნოსტირებას, პაციენტის შესაბამისი პროფილის სპეციალისტთან გადამისამართებას.

თუმცა შეიძლება იყოს რთული შემთხვევებიც. მაგალითად, თუ პაციენტს ერთდროულად ფილტვის კიბო და კორონავირუსი აქვს. არის შემთხვევა, როდესაც ადამიანს აღენიშნება პნევმოცისტური პნევმონია ან ასპერგილოზი, რომლებიც კორონავირუსით გამოწვეული მწვავე პნევმონიისგან რადიოლოგიურად არ განსხვავდება. შესაბამისად, თავად ექიმებიც აღიარებენ, რომ სამწუხაროდ, მედიცინა იყო და რჩება ალბათობათა, არსებული გამოცდილებისა და კაცობრიობის მიერ დაგროვილი მცირე ცოდნის ერთობლიობად. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, არ არსებობს სახელმძღვანელო ან ინსტრუქცია, რომელშიც აღწერილია ყველა შესაძლო პრობლემა და მათი აღმოფხვრის გზები.

გილოცავთ!

საუკუნოვანი იუბილეს მოლოდინში



საქართველოს გზათა სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნირებას“ კოლექტივი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს დაბადებიდან 89 წლისთავს ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ბატონ თამაზ შილაკაძეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით საქმიანობას როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საკუთარი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ბატონი თამაზ შილაკაძე დაფუძნების დღიდან დღემდე, 55 წლის მანძილზე, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებას“ უცვლელი გენერალური დირექტორია, იგი არის მრავალი მეცნიერული ნაშრომის და ნორმატიული აქტის ავტორი, მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტში აღიზარდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მრავალი თაობა და იგი დღესაც გვერდში უდგას მომავალ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. იგი წლების განმავლობაში არის ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს უცვლელი წევრი და მრავალი მეცნიერ-მუშაკის დამრიგებელი.

2019 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად და ამით საქართველოს მეგზევეთა ავტორიტეტი კიდევ უფრო წინ წასწია.

იგი არის საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე და უანგაროდ გვერდში უდგას ვეტერან მეგზევეებს, არასდროს არ ავიწყდება მათი ბედნიერებისა და ტკივილის დღეები. მისი დღევანდელი ფიზიკური ჯანმრთელობა და შემართებითი ენერგია იმედს გვაძლევს, რომ მას წარმატებით მივულოცავთ საუკუნოვან იუბილეს.

კიდევ ერთხელ, ბატონო თამაზ, დიდი მოწიწებით გილოცავთ დაბადების დღეს და მომავალ საიუბილეო თარიღებს.

დიდი სიყვარულით

შპს „საქგზამეცნიერებას“ კოლექტივი

ბრიტანეთის სამეფო ოჯახში მატებაა

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის Instagram-ის ოფიციალურ გვერდზე პრინცესა ევგენიასა და ჯეკ ბრუკსბანკ ავგუსტის ვაჟის ფოტო გამოქვეყნდა. წყვილს ვაჟი 2021 წლის 9 თებერვალს შეეძინათ. ბიჭი პორტლენდის ჰოსპიტალში დაიბადა. მისი სრული სახელია ავგუსტ ფილიპ ჰოუკ ბრუკსბანკი.

სამეფო ოჯახის თაყვანისმცემლებმა ოჯახს ღიაობისთვის მადლობა გადაუხადეს და გამოხატეს სიხარული, რომ ოჯახმა საზოგადოებას ახალშობილის ფოტოს ნახვის შესაძლებლობა მისცა. პრინცესა ევგენია იორკის ჰერცოგის ენდრიუს და ჰერცოგინია სარას შვილია. წყვილისთვის ეს პირველი შვილია, ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ მეორისთვის კი მეცხრე შვილთაშვილი. პრინცესა ევგენია და ჯეკ ბრეკსბენკი 2018 წელს დაქორწინდნენ.

მწერალს სახლში პაპი ეწვია

რომის პაპი ფრანცისკე ჰოლოკოსტს გადარჩენილ მწერალს ედიტ ბრუკს მოულოდნელად სახლში ეწვია. 89 წლის ბრუკი უნგრეთში დაბადებული ებრაელია, რომელმაც ბავშვობაში რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკი გამოიარა. ჰოლოკოსტს მისი მშობლები და ძმა შეეწირნენ. ბრუკი 13 წლის იყო, როდესაც ოჯახთან ერთად ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში,აუშვიცის ბანაკში გაგზავნეს. აუშვიცში მისი დედა გარდაიცვალა, მამა კი, მან დახაუს ბანაკში დაკარგა, სადაც ისინი მოგვიანებით გადაიყვანეს.

როგორც ვატიკანის პრესსპიკერმა განაცხადა, პონტიფიკოსი ბრუკსს საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული პერიოდისა და იმის მნიშვნელობაზე ესაუბრა, რომ მომავალმა თაობებმა იცოდნენ, თუ რა მოხდა. რომის პაპმა ედიტ ბრუკთან დაახლოებით ერთ საათს დაჰყო.

„მე აქ მოვედი, რათა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რაც თქვენ გამოიარეთ და პატივი მივაგო ნაციზმის პოპულიზმის უგუნურებით წამებულ ადამიანებს“, — ციტირებს ვატიკანი რომის პაპის სიტყვებს. ჰოლოკოსტს ექვს მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა. მათი დიდი უმრავლესობა ებრაელები იყვნენ.

ვიკინგების განძი ბრიტანეთში

ბრიტანეთში, კუნძულ მენზე საგანძურის ძიებით გატაცებულმა ქალმა, ვიკინგების განძი იპოვა.

კეტ ჯაილსმა განძი 2020 წლის ბოლოს იპოვა, როცა კერძო ტერიტორიზე ლითონის საძიებელი მოწყობილობით გადაადგილდებოდა. ქალმა მიწაში დაფლული ოქროს სამაჯური, მოზრდილი ვერცხლის გულსაბნევი, ვერცხლის სამკლაური და სხვა ნივთები ამოიღო. ჯაილსი მიხვდა, რომ ამ ნივთებს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და კუნძულ მენის ნაციონალური მემკვიდრეობის მუზეუმს დაუკავშირდა.

სპეციალისტების შეფასებით, განძი სავარაუდოდ ჩვენს ერამდე 950 წელსაა დაფლული. ოქროს სამაჯური ძალიან იშვიათი ნივთია, რადგან ვიკინგების ეპოქაში ოქროს სამაჯურებს არ ამზადებდნენ. 2021 წლის თებერვალში კეტ ჯაილსის მიერ ნაპოვნი ნივთები ოფიციალურად ცნეს საგანძურად. ნივთები კუნძულ მენის ნაციონალური მემკვიდრეობის მუზეუმს გადაეცა. საგანძურის მპოვნელ ქალს კი დაასაჩუქრებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მილიონერი ბებია და შვილიშვილთა ფინანსური მაქინაციები

აშშ-ში 94 წლის მილიონერმა ბევერლი შოტენსტაინმა შვილიშვილები თავისი კაპიტალის გაფლანგვისთვის დასაჯა. ბებიამ საკუთარ კაპიტალზე ზრუნვა შვილიშვილებს 15 წლის წინ მიანდო. ევანი და ავი, რომლებიც ახლა 39 და 33 წლის არიან, ბებიის კუთვნილ $80 მილიონის მოცულობის კაპიტალს მართავდნენ. მათი ფინანსური მაქინაციები ბევერლის იურისტებმა გამოააშკარავეს. მათ შეიტყვეს, რომ შვილიშვილები ბებიის სახელით სარისკო ფინანსურ გარიგებებს დებდნენ.

ამასთან, ევანი და ავი ისეთ ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებდნენ, რომლებზეც ბებიის თანხმობა სჭირდებოდათ. შვილიშვილები ბებიის საკრედიტო ბარათიდან $1 მილიონის გაფლანგვაში დაადანაშაულეს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3069; ევრო - 4.0149;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6270;
100 რუბლი - 4.47567; თურქული ლირა - 0.4741;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9432;
1000 სომხური დრამი - 6.3045.

ამინდი 22 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-7,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+4
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-2,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge